საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფაფიოლებით და ჭოჭებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 7 ოქტომბერი. 2016 წ. №187 (8078), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ზვიად გამსახურდიას ბედისწერა და მისი თანამეცხედრის გოდება მაინც შეისმინეთ, ზუგდიდელებო და სრულიად სამეგრელოვ!

მანანა არჩვაძე-გამსახურდია: შე ნამუსგარეცხილო ჯაშუშო, როგორ ბედავ ზვიად გამსახურდიას ხსენებას

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია სოციალურ ქსელში სანდრა რულოვსის მისამართით სტატუსს აქვეყნებს:

„შე ნამუსგარეცხილო ჯაშუშო, შენი და შენი ე.წ. ქმარი როგორ ბედავთ ზვიად გამსახურდიას ხსენებას. მიხედე საქართველოში თქვენს მიერ დატრიალებულ ტრაგედიას, „მოქკავშირიდან“ დღემდე, რომელი ერთი დანაშაული ჩამოგითვალო — პირველი და უმთავრესი — კოდორის გადაცემა რუსეთისთვის, სამაჩაბლოს 114 სოფლის ჩაბარება რუსეთისთვის, საქართველოს ყველა სტრატეგიული ობიექტების ჩუქება რუსეთისთვის, ტერორისტული აქტების მოწყობა საქართველოს მოსახლეობისათვის, საქართველოს მოსახლეობის დაინვალიდება, ჯანმრთელი მოქალაქეების ორგანოებით ვაჭრობა, ბიზნესის დატერორება და მათი ქონების ხელში ჩაგდება, აჭარის ფაქტობრივი ჩაბარება გიულენისათვის ორმხრივი გარიგების საფუძველზე, საქართველოს ბიუჯეტის ძარცვა, ტუბერკულოზით დაავადებული მოქალაქეების მედიკამენტების გარეშე დატოვება, უდიპლომო ე.წ. ექთნის სტატუსით ჯანმრთელობის სამინისტროს პირად კონტროლზე აყვანა, რომელსაც ჯალათი ქმრის ხელშეწყობით ახორციელებდი საავადმყოფოებზე კონტროლს — ორგანოებით ვაჭრობასა და ასევე უცხოეთიდან შემოტანილი ვაქცინებით ახალშობილების დაინვალიდებას, უცხოეთში შავი ფულის გათეთრებას და ბანკებში განთავსებას, დანარჩენს სასარჩელოსათვის შემოვინახავ — შენ ქმარშვილს, დედამთილს, თ.ალასანიას, შენ მშობლებსა და ძმას დამტვრეული ავეჯით მოვაჭრე მაკლერებს ერთად გაგისწორდებით!“

ოთარ დანელია:

მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მოვიძიო ყველა აბაშელი და მარტვილელი, ვინც ქვეყნიდან გასულია და დავაბრუნო საქართველოში

4 5

ივანიშვილი რისკზე მიდის და ბიზნესმენების თავზე სახარებას კითხულობს...

2

ფანები თუ პრიმიტიული პოლიტიკური მეძავები?!

◎ მგლები ცხვრის ტყავში

ნაციონალების მხარდამჭერებო, წაიკითხეთ ეს სტატია და გადაირჩინეთ სული! გადაირჩინეთ ოჯახები, გადაირჩინეთ სამშობლო!

სანდრა რულოვსის „ალდგენითი სამუშაოები“

„რას მაგონებს ეს სიტუაცია?“

ეს კითხვა დატრიალდა ჩემში, როდესაც საქართველოდან გაქცეულმა ექსპრეზიდენტმა მ.სააკაშვილმა (მაინც) თავისი მეუღლე — ქალბატონი სანდრა ელისაბედ რულოვსი ფსიქოლოგიურად შესაბამისად აღჭურვა (ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თვალებშიც კი ჩაახედა) და ყოფილ სამშობლოში პოლიტიკური ბრძოლის წინა ხაზზე: საარჩევნო მარათონში მაჟორიტარ დეპუტატად გამოამწესა.

და მერე უცებ მივხვდი:

ღმერთო, ჩემო, რას მაგონებს და, ჯაყომ მძიმე საფქვავი რომ აჰკიდა მარგოს და წისქვილისაკენ გაუყენა გზას!

რა თქმა უნდა, ჯაყო და მარგო!

ბევრი ქართული რომანი ისევე მავსებს აუტანელი სევდით, როგორც ქართული ყოფა-ცხოვრება, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი მაინც სხვაა. აქ უკიდურესობები ბოლომდეა გამწვავებული: ძალადობა უძველესი ქართული არისტოკრატიული გვარების უკანასკნელ შთამომავლებზე (ერთ დროს კეთილშობილ, მაგრამ საზრისდაკარგულ, უადგილო ცოლქმარზე) ხორციელდება: მათსავე კუთვნილ სასახლეში, მათივე მსახურის — (არაქართველი) ნახევრადცხოველის მიერ.

ცხოვრება კი თავისებურად ერთობა კალეიდოსკოპის ტრიალით, პოლიტიკური კატაკლიზმები კონფიგურაციებს ჩქარ-ჩქარა ცვლიან, პერსონაჟების გარეგნული მახასიათებლები, იქნება ეს ჩაცმულობა, წარმომავლობა თუ ლინგვისტური შესაძლებლობები, დროთა შესაბამისად იცვლება, ეპოქა დრამის რიტმს აჩქარებს, სიუჟეტის რედუცირებას ახდენს, ხშირად ორ პერსონაჟს ერთში აერთიანებს, მაგრამ არსი იგივე რჩება: ძალმომრეობის, ცბიერების, მუხანათობის, სიბრიყვისა და უსირცხვილობის მდგრადობა უღმერთო და უპატრონო ქვეყანაში. მუდმივი შანსი ამ ყოველივესთვის: ავიდეს ტახტზე.

ახლა კონკრეტულად: ცნობილია, რომ თანამედროვე დემოკრატიული ჰუმანიზმის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

მაგრამ, როგორც მოგვეხსენება, ეს მორალური კანონი აღარ ვრცელდება მაღალი თანამდებობის საჯარო პირებზე, პირველ რიგში კი პრეზიდენტზე. რადგან: ხელისუფლების საქციელს, მის ეთიკურ სახეს დიდი გადამდები ძალა აქვს და იმ შემთხვევაშიც კი ახდენს გავლენას ხალხის დიდი ნაწილის ზნეზე, როცა ეს ხალხი მას არ ენდობა. უფრო ზუსტად და ლაკონიურად ვერ იტყვი: „თევზი თავიდან ყროლდება“. ხალხს სჭირდება, ზნეობრივი საყრდენების შენარჩუნებისათვის საჭირო ძალა მიიღოს უმაღლესი ხელისუფლებისაგან.

(ხალხურ ლექსში: ქალსა და ვაჟს ერთმანეთი მოეწონათ, მაგრამ ახლო ნათესავები აღმოჩნდნენ. ქალმა ძალიან განიცადა, ვაჟი კი ეუბნება: „არა უშავს რა, ქალაო, დროება გამოგვეცვალა, რუსი დაგვიდგა ხელმწიფედ, ერეკლე გარდაგვეცვალა“).

ამიტომ პრეზიდენტი მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკურ მეთაურად არ მოიაზრება, იგი, ასევე, ერთგული, მოყვარული და ყურადღებიანი მეუღლისა და მამის (ან დედის) განსახიერებაც უნდა იყოს.

ოჯახი ხომ სრულიად სამართლიანად განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ამერიკის ფუნდამენტურ ღირებულებათა შკალაზე (რაც, სხვა მხრივ ამერიკის ადეპტებად ქცეულ, ქართველ „ნაციონალურ წინამძღოლებს“ ნაკლებად აღელვებდათ). ამერიკის შეერთებული შტატების სიძლიერისა და წარმატებულობის ერთ-ერთ მიზეზად ხომ ამერიკული ოჯახის სიმტკიცეც სახელდება.

იხ. 6 გვ.

ივანიშვილი რისკზე მიდის და ბიზნესმენების თავზე სახარებას კითხულობს...

ფანები თუ პრიმიტიული პოლიტიკური მეძავები?!

საქართველოში, სადაც ყოველ მეორეს თავი პოლიტიკოსი ჰგონია და პრეზიდენტობა, მინისტრობა ან პარლამენტარობა სურს, ვერავინ შენიშნა, რომ **დღეს ქვეყანა განვითარების ახალ ეტაპზე გადადის.** საქართველოს უახლეს ისტორიაში, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ეს ეტაპები ყოველთვის საპარლამენტო არჩევნებს და ქვეყნის ხელმძღვანელის შეცვლას ემთხვეოდა, რადგან მათ მნიშვნელოვანწილად **გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილის** და **ივანიშვილის** პიროვნებები განსაზღვრავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პარამეტრების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე პოლიტიკოსთა უპრეცედენტო რაოდენობა გვყავს.

გამონაკლისი არც ახალი ეტაპია, რომელიც, 2012 წელს დაწყებული წინა ეტაპის მსგავსად, კვლავაც საპარლამენტო არჩევნებს დაემთხვა და ისევ მილიარდერის, ექსპრემიერის, მეცენატისა და პოლიტიკოსის **ბიძინა ივანიშვილის** მიერ არის ინსპირირებული.

გახსოვთ? 4 წლის წინათ **ივანიშვილმა** შეასრულა ის ერთადერთი ამოცანა, რომელიც თვითონვე დაისახა – უსისხლოდ გამოგლიჯა ხელიდან ძალაუფლება დიქტატორ სააკაშვილს და მმართველ პარტია „ნაცმოძრაობას“ და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი გაუყალბებელი საპარლამენტო არჩევნების ორგანიზება შეძლო. ივანიშვილი მაშინ რისკავდა, რეჟიმის მიერ დაპატიმრებული ან მოკლული ყოფილიყო, როგორც პრემიერი **ჟვანია** და ოლიგარქი **პატარკაციშვილი** – პრეზიდენტისა და უმაღლესი მთავარსარდლის სააკაშვილის ბრძანებას შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ყველა შეიარაღებული ქვედანაყოფი უსიტყვოდ შეასრულებდა! მაგრამ ივანიშვილმა ტაქტიკური სვლა გააკეთა, რომლითაც აშშ-ის მხარდაჭერა გაინაღდა – შექმნა პარტია **„ქართული ოცნება“,** რომელმაც ევროატლანტიკური საგარეო პოლიტიკური კურსი გამოაცხადა და მის ირგვლივ ამავე სახელწოდების კოალიციაში გაერთიანა პრაქტიკულად არარსებული, მის მიერვე რეანიმირებული პარტიები. მერე კი ამგვარად გაერთიანებული ქართული პოლიტიკური სპექტრი „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ მიმართა – და გაიმარჯვა!

გავიდა 4 წელი. **ივანიშვილი,** რომელმაც გამარჯვებიდან ერთი წლის შემდეგ საკუთარი ნებით დატოვა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, მას შემდეგ დუმდა და აკვირდებოდა, უმადურობას და შეურაცხყოფას ითმენდა, შეცდომებს აანალიზებდა და დასკვნებს აკეთებდა, თავის მიერ დანიშნულ თითოეულ ადამიანს – პარლამენტარებითა და მინისტრებით დაწყებული, პრემიერებითა და პრეზიდენტით დამთავრებული – შესაძლებლობა მისცა, ბოლომდე გამოემჟღავნებინათ საკუთარი დადებითი და უარყოფითი თვისებები. მაგრამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე საქართველოში ყველაზე დიდი პარტიის „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და ლიდერმა **ქართულ სახელმწიფოში გადატვირთვის** პრეზენტაცია დაიწყო, რასაც მე ზემოთ ახალი ეტაპი ვუწოდე.

რით ხელმძღვანელობს ივანიშვილი, რა მიზეზებმა უბიძგა მას გარდაქმნების აუცილებლობისაკენ? რით იქნება ახალი ეტაპი განსხვავებული წინასაგან და როგორია საქართველოში ხელისუფლების გადატვირთვის ძირითადი ამოცანები? რატომ ვვარაუდობ, რომ ივანიშვილი ისევ ძალიან რისკავს, როგორც 2012 წელს? ამ შეკითხვებს რამდენიმე სიტყვით ვუპასუხებ.

ივანიშვილი დარწმუნდა, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოჰაბიტაციას სააკაშვილის რეინკარნაციისკენ მივყავართ, ამიტომ შეწყვიტა ის. ივანიშვილის კეთილი რჩევების წყალობით „კარგმა ნაციონალებმა“ უკვე დატოვეს „ნაცმოძრაობა“, დანარჩენები – უიმედოები არიან და ისევ ექაჩებიან ქვეყანას უფსკრულის პირას, სადაც ის უკვე იმყოფებოდა 4 წლის წინათ და საიდანაც ივანიშვილმა გამოათრია, როგორც პოსტ ფაქტუმ აღიარა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია მეორემ,** რომელიც 9 წელიწადი უილაჯოდ ითმენდა სააკაშვილის რეჟიმისგან შეურაცხყოფას. მიუხედავად ამისა, ივანიშვილმა **„ქართული ოცნების“** კარი დღემდე შეღებული დატოვა – როგორც ნაციონალებისთვის, ისე ცოტა ხნის წინანდელი პარტნიორებისთვის კოალიციიდან. **დღეს ხომ ივანიშვილი სხვადასხვა პარტიას კი არ აერთიანებს ერთ კოალიციაში, როგორც 4 წლის წინათ, არამედ სხვადასხვა პოლიტიკოსს – ერთ პარტიაში, „ქართულ ოცნებაში“.**

ივანიშვილი დარწმუნდა, რომ ნაციონალების „შეცოდება“ და თანამდებობებზე დატოვება უაღრესად სახიფათოა: მაგალითად, უზენაესი და კონსტიტუციური სასამართლოების თავმჯდომარეებმა კუბლაშვილმა და პაპუაშვილმა ისე დააინფიცირეს სასამართლო სისტემა, რომ მისი განკურნება დღემდე ვერ მოხერხდა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ქადაგიძემ კი ქვეყანა ლამის ინფლაციის, დევალვაციისა და დეფოლტის უფსკრულში გადაჩეხა.

ივანიშვილი დარწმუნდა, აგრეთვე, რომ ცოტა ხნის წინანდელი თანაკოალიციელების – რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ თანამდებობებზე დატოვებაც არანაკლებ კონტრპროდუქტიულია: თავდაცვის მინისტრები ხიდაშელი და ალასანია ცუდი მენეჯერები აღმოჩნდნენ, რომლებიც ცეცხლს ეთამაშებოდნენ.

რას მიაღწია საქართველომ 2012-დან 2016 წლამდე ივანიშვილის წყლობით?

● საქართველოში კორუფცია, მათ შორის, ელიტარული, მთლიანად მოისპო. ცალკეული რეციდივები მკაცრად ისჯება, პიროვნებების მიუხედავად.

● სრულიად აღმოფხვრილია ძალოვანი სტრუქტურების თავაშვებულობა – სისტემური დანაშაული პოლიციაში, სამხედრო პოლიციაში, პროკურატურასა და სახელმწიფო უშიშროებაში. მსოფლიო რეიტინგებში საქართველომ მოწინავე პოზიციებზე გადაინაცვლა იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც ორგანიზებული დანაშაული დაამარცხეს. რეფორმირებული შსს-ს და ცალკე სტრუქტურად გამოყოფილი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის წყალობით, „ცხელი წერტილების“ უშუალო სიახლოვეს მდებარე საქართველოში ჯერ არცერთი ტერაქტი არ მომხდარა.

● სასამართლოები პირველად მთლიანად გათავისუფლდა საქართველოსთვის ტრადიციული დიქტატისაგან ხელისუფლების მხრიდან.

● მედიის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, ნების გამოხატვის თავისუფლება, ცალკეულ დარღვევებს თუ არ ჩავთვლით, სრულად არის უზრუნველყოფილი.

● ბიზნესი მთლიანად გათავისუფლდა სახელმწიფო რეკეტისაგან.

● ქვეყანაში პირველად უზრუნველყოფილია სამართლიანი, გამჭვირვალე არჩევნების ჩატარება ყველა დონეზე, რომლის გაყალბება სრულიად გამორიცხულია.

● აღდგენილია სავაჭრო და ჰუმანიტარული ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან.

● არნახულ აყვავებას განიცდის ტურიზმი – ქალაქებისა და რეგიონების ქუჩებში ზოგჯერ უფრო მეტი ტურისტია, ვიდრე ადგილობრივი მცხოვრები.

● შემოღებულია საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა.

იხ. 9 გვ.

საქართველოს პრეზიდენტი სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გუშინ IRI-ის და NDI-ის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკურმა მდივანმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, უმნიშვნელოვანესია ის საქმე, რასაც სადამკვირვებლო მისიები ახორციელებენ არჩევნებამდე პერიოდში და არჩევნების დღეს საქართველოში. ასევე, უმნიშვნელოვანესია, რომ მთელმა სახელისუფლებო სტრუქტურამ უზრუნველყოს არჩევნების ნორმალურად, მშვიდობიან, თავისუფალ გარემოში ჩატარება. პრეზიდენტის სასახლეში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე, პოლიტიკური მდივანი ფიქრია ჩიხრაძე, საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ლევან ბოძაშვილი.

ყველა პოლიტიკურმა ძალამ აღიარა, რომ „ქართული ოცნება“ იქნება პირველი

„დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისთვის“ თავმჯდომარე ფიქრობს, რომ საქართველოსთვის უმჯობესი იქნება, თუ მრავალპარტიული პარლამენტი ეყოლება. გუშინდელ პრესკონფერენციაზე თევზაძემ ამომრჩეველსაც მიმართა და არჩევნებზე მისვლის და საკუთარი არჩევანის დაფიქსირებისკენ მოუწოდა.

„ყველა პოლიტიკურმა ძალამ აღიარა, რომ „ქართული ოცნება“ იქნება პირველი. ის, რომ „ქართული ოცნება“ ლიდერია, ამაზე არც ერთი პოლიტიკური პარტია არ დავობს, ამიტომ აჟიოტაჟის ატეხვა, თუ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, უსაფუძვლო იქნება.

ადამიანები კი არ უნდა დაზაფრო არჩევნების წინ, პირიქით, უნდა უთხრა, რომ თქვენ ხართ თავისუფალი ადამიანები, თქვენ გაქვთ არჩევანი, თქვენ რა არჩევანსაც გააკეთებთ, ყველა პოლიტიკოსი ვალდებულია, იმ არჩევანს დაექვემდებაროს და ცოტა უკეთესი მობილიზება გააკეთოს შემდეგი არჩევნებისთვის.

53 % თუ აპირებს მისვლას, ეს არის ძალიან ცუდი. ეს არის ბევრად იმაზე ცუდი, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი, რაც აქამდე ვილაპარაკეთ. იმიტომ, რომ ლეგიტიმაციის ხარისხი ამ არჩევნებისა იქნება დაბალი და ეს ქმნის სივრცეს ნებისმიერი სცენარისთვის, რომლისაც ჩვენ ასე გვეშინია.

ჯობია, საქართველოსთვის, რომ პარლამენტი იყოს მრავალპარტიული. მე მოვუწოდებდი მოსახლეობას, რომ ნუ ეშინიათ ნურაფრის. 8 ოქტომბერი არის მათი დღე. იქნება სიმშვიდე, თუ ისინი ეცდებიან, რომ ყველამ გამოხატოს თავისი ნება, იმიტომ, რომ ეს ამცირებს გაყალბების ალბათობას, ეს ამცირებს სხვა მანიპულირების ალბათობას და ზრდის ალბათობას იმისას, რომ ადამიანებმა ნახონ რეალურად თავიანთი არჩევანი პარლამენტში“, – განაცხადა დავით თევზაძემ.

პაატა ბურჭულაძის პარტია კიდევ სამოცმა წევრმა დატოვა

„პაატა ბურჭულაძე – მოძრაობა ხალხისთვის“ ქობულეთში 60 ადამიანმა დატოვა, მათ შორის არის უმაღლესი საბჭოს პროპორციული სიის 13 ნომერი გივი ცინცაძეც. ცინცაძე სიაში გიორგი ვაშაძის პარტიიდან მოხვდა.

მისი განცხადებით, ქობულეთში გიორგი ვაშაძემ 48 კოორდინატორი და შტაბის 12 წევრი მოატყუა და მათ ორი თვის ხელფასი არ გადაუხადა.

„მთელი ქობულეთის შტაბი ვტოვებთ პარტიას, ჩვენ მოგვატყუეს და ერთი თეთრი არ გადაგვიხადეს. ამ ადამიანებს ვერ დავაღალატებ, არ მიღირს ასე ყოფნა სიაში. მოუწოდებ ყველას, მიდით არჩევნებზე და ყველა შემოხაზეთ 1 ნომრის გარდა“, – განაცხადა ცინცაძემ.

გივი ცინცაძის ინფორმაციით, ქობულეთის 71 ოლქში, ბურჭულაძის პარტიას შტაბი აღარ ჰყავს.

ტრისტან წითელაშვილის პარტიამ ექსპრეზიდენტი „დაკრძალა“

პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ინიციატივით და ორგანიზებით საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმპროვიზებული დაკრძალვა მოეწყო. „ნაციონალური მოძრაობის“ სათაო ოფისიდან მიხეილ სააკაშვილის ფიტული ამერიკის საელჩოსთან მიიტანეს.

როგორ აუფეთქეს კამოსავით განავლის ჭამაში გაწაფული კაცი... და როგორ შეჯდა ცხენზე მიშიკო...

მაინც მოვიდა, კარს მოგვადგა, უკვე ზარის ღილაკსაც დააჭირა, აფეთქებისგან გამურული თითი.

ხომ ამდენი ხანი ველოდით ამ მოსვლას, მაინც ვერ მოვემზადეთ სათანადოდ დასახვედრად, ყოველდღიურად ხან რა გამოტყვრა, ხან – რა.

ზოგჯერ მავანის ზღვარდაუდებელმა თავხედობამ შეშალა მთელი ელექტორატი, ზოგჯერ ახალთან ერთად ძველი სატკივრები შემოგვენთო გულ-ბოყვში...

დრო და დრო ვინმე მწვირეში ამოიწობდა ენას და ისეთს დაახეთქებდა, ფეხქვეშ ნიადაგს გამოგვაცლიდა...

იყო დასმენები, ჩაშვებები, ბოღმები, კვანტები და მოგვერდები, ოღონდ არაკაცობასთან ერთად, მადლობა ღმერთს, იყო კაცობაც, ქვეგამხედვარობასთან ერთად – უღლის ნამუსიანად გაწევაც.

ამიტომ ვერ გავიტანეთ სვრელი ბოლომდე და არჩევნების წინ ნაციონალებს რქები ბოლომდე ვერ დავახერხეთ.

ახლაც ყოველ წუთს რაღაც უკუღმართ ახალს და გამორჩეულს უნდა ველოდეთ.

გუშინწინ, მაგალითად, თარგამაძე აფეთქდა. გივიზე მოგახსენებთ, ნაცების კამოზე, რომელიც თავისი ზოგიერთი თანამოძმის მსგავსად ტრიბუნაზე ვერ შეფრინდება ხოლმე ლაღად და ენით ყვავს ვერ ჩამოაგდებს ხიდან, სამაგიეროდ, კამოსავით განავლის ჭამაში ფრიად გაწაფულია. ვარდების რევოლუციის ექსპორტის მიზნით მისმა ბელადმა – საакაშვილმა უცხოეთშიც კი მიავლინა (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი), როგორც ფიდელმა – ჩე გევარა.

ერთი სიტყვით, აფეთქებამდე გივიმ მრავალ სისაძაგლეს მოაწერა ხელი (და ბევრს კიდევ მოაწერს). ჰოდა ამ მრავალ სისაძაგლეზე ხელის მომწერმა, როგორც იტყვიან, ცხრა თოკზე გადამხტარმა კაცმა, გუშინწინ: სწორედ რომ გააოცა თვალებად და ყურებად ქცეული საქართველო:

აფეთქდა, ოღონდ ძალიან იღბლიანად აფეთქდა. თვითონ კამეჩის ტყავგადაკრული შუბლი არც გაკაწვრია (თუმცა, შუბლის ძარღვი კარგა ხანია, გაწყვეტილი აქვს), ხუთი კაცი კი კინაღამ საიქიოს გაისტუმრა მზაკვარმა ღილაკზე თითის დამჭერმა.

ამ ხმაურიან აქციას უმალ გამოეხმაურა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დაბეჯითებით განაცხადა, სამართალდამცავებმა ეს ამბავი სასწრაფოდ უნდა გამოიძიონ და დამნაშავენი უნდა დაისაჯონო.

მეტი რა უნდა ეთქვა, რაც იმ ვითარებაში თქვა სახელმწიფო მეთაურმა?

სამაგიეროდ, სამურაბე ტაშტივით თავმოსროპიალებულმა და კუდის რიკამდე ტყავგასაძრომმა ნიკანდრო მელიამ, მისთვის ჩვეული უტიფრობით უმალ განაცხადა, პრემიერმა როგორ ამოუშვა პირიდან, თარგამაძემ თვითონ მოიწყო აფეთქებაო.

გახსოვთ რა უპასუხა ქრისტემ ცილისმწამებელს? – ეგ მე კი არა, შენ თქვიო!

საიდან მელიას ზემორე დასკვნა? ახსენა პრემიერმა ის, რაც ასე უნამუსოდ დააბრალა მელიამ?

არა, არ უთქვამს, ეს მელიას წამოსცდა.

მელიას ის ესიზმრება, რაც ელანდება.

მელიას შეუძლია, რაც სურს, ის დაისიზმროს, მაგრამ მოლანდებები კი უნდა იკონტროლოს, თორემ ეგრე სად არი!

ასეა თუ ისე, ანუ გივის სხვამ დაუჭირა თითი ღილაკზე თუ თვითონ წაუკიდა ცეცხლი ლაღუმს, რომელზეც იჯდა, ხმაური კი სწორედ ისეთი მოჰყვა, როგორც ნავარაუდევი იყო, – აი ჭაობში რომ კუნძს გადააგდებ და მთელი დამყაყებული გარემო აფეთდება ბაყაყ-კოღოს ყიყინ-ბზუილის აკომპანემენტით.

გამწარებული ნაციონალები, არასამთავრობოებიანად (ძველი პიონერივით მარად მზად მყოფი ეკა გიგაურის თამადობით), ქალიან-კაციანად ტანზე იგლეჯენ ბეწვის საფარს... უმალ ხელისუფლებას ეცნენ, ყველაფერი შენი ბრალიაო, აი, ჩვენს დროს ასეთი რამ ხომ არ შეიძლება მომხდარიყოო, ქუჩაში დახვრეტები, ციხეში კაცების გაუპატიურება კი, მაგრამ გივი თარგამაძის აფეთქება არამც და არამცო!

ახლა ამაზე ვფიქრობ: ფუი ეშმაკს და გამოძიებამ რომ მიაკვლიოს, რომ ეს მართლაც თარგამაძის ოინები იყო, ცირკი არ იქნება?!

ერთი სიტყვით, ისეთი ამბავია, დედა შვილს არ აიყვანს!

პარტიები საარჩევნოდ თავიანთ თავს გადაახტნენ.

ოთხშაბათის ნაცების მიტინგმა სულ ტარაბუა დაახვია ელექტორატს. იშვიათად გვინახავს ასე განედლებული სიცრუე. სამ დღეში დავბრუნდებითო, უკვე ცხენზე ვზივართ და გზაში ვართო.

მიშამ უკრაინიდან ცხელ-ცხელი ჩაწოდა საქართველოს ტელემაყურებელს, ასეთი ხალხმრავლობა, დღეს რომ ვარდების მოედანზეა, მსოფლიოს არ მოსწრებიაო. დავით ბაქრაძემ უმალ სტაცა პირი გადმოგდებულ ძვალს, ამ მიტინგზე ასი ათასი კაცი ვართო.

არადა, დიდი-დიდი ათი ათას კაცამდე იყვნენ, ტელევიზორში არ ვუყურეთ?!

პარტიებზე მოგახსენებდით.

შალვა ნათელაშვილი ბებიასთან რომ ჩადის სოფელში, მისალმებას „რუსი ოლიგარქის“ ბიძინა ივანიშვილის დედის გინებით იწყებს.

მაგრამ ეგ კიდევ არაფერი. სრული მეტამორფოზა განიცადა №2 ლეიბორისტმა გუგავამ. ისე დაიმსგავსა შალიკომ სახითა და მოწოდებებით, გარჩევა ჭირს.

ფორუმმა ისეთი იღბლიანი წინასაარჩევნო ფორმულა მოძებნა, ის დროა, უკვე ირგებდნენ საპარლამენტო და სახელისუფლო ჩოხებს: 26 მაისს გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ, 26 მაისს დაიბადა მერაბ კოსტავა, 26 აგვისტოს დაიბადა მამა გაბრიელი, 26 იანვარს დაფუძნდა თბილისის უნივერსიტეტი, 26 ფორუმის საარჩევნო ნომერია!

ვაუ, შეგიჭამე ცოცხი!

ირაკლი ალასანია ამომრჩეველს ამუნათებს: გვენდეთ ჩვენს მიერ უკვე გაკეთებულ საქმეთა გამოო. მაინც ასეთი რა გაქვთ გაკეთებული, ბიჭო?!

ბურჭულაძე კაციტაძისა და ვაშაძის ამარა დარჩა. როგორც კაცს პლაჟზე წამოდგომისას ტანზე აკრული ქვიშა ჩამოსცვივდება, ისე ჩამოსცვივდა პაატას ელექტორატი და თითივით გალოკილი დარჩა. ასე რომ, ის დროა „თავო ჩემოს“ უბერავდეს.

არადა, მაინც ცდილობს თარგამაძის ხმაური თავის სასიკეთოდ გამოიყენოს, მომხდარს აპროტესტებს და ამით თავისი არსებობის დადასტურებას ცდილობს.

ღმერთო, მიგვაწევინე შაბათამდე!

სანდრო ალექსიძე

ნაცების გასილაქება „რუსთავი-2“-ის „არჩევანში“

მართალი გითხრათ, „რუსთავი-2“-ის „არჩევანს“ იშვიათად ვუყურებ. ისე მტრულად, გამოკვეთილად არის ხოლმე ყველაფერი დადგმული, თვალდათვალ ვგრძნობ როგორ მიწევს წნევა და მისივდება გული.

მაგრამ ოთხშაბათის „არჩევანის“ უნახაობა არამც და არამც არ შემეძლო. ხომ უნდა დავკვირვებოდი „ქართული ოცნების“ მეწინავე გუნდს „მტრის ტერიტორიაზე“.

ვნახე და კმაყოფილი დავრჩი.

„რუსთავი-2“-მა თავისი საუკეთესო დამრტყმელი ძალა დაახვედრა სტუმრებს – თამარ ბაღაშვილი, დიანა ტრაპაიძე, თეა ადეიშვილი და აკაკი გოგიჩაიშვილი.

თითოეულს თავისი გამოკვეთილი ჟურნალისტური ბიოგრაფია და საგულდაგულოდ აუწონავი სიტყვა აქვს.

მაგალითად, აკაკი გოგიჩაიშვილს შეუძლია სანთელივით, პატიოსნების ეტალონ კაცს ორი ადამიანის მკვლელობა და გადასამალად გვამების აქნა დააბრალოს უკვე გასამართლებული, ციხეში მჯდომი, მკვლელის ჩაწოდებით და არა უბრალოდ დაابრალოს, გადაცემების სერია მიუძღვნას ამ „სენსაციურ აღმოჩენას“.

„არჩევანის“ წამყვან გიორგი გაბუნიას ეკრანული მანიპულაციები საქვეყნოდ ცნობილია...

მაგრამ გადაცემა ისე არ წარიმართა, როგორც გეგმავდნენ. აკაკი გოგიჩაიშვილმა მაყურებელზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, იგი ოცნებელებს ვერ დაერია „გნოლის ჯოგსა ვითა ქორი“, რაც ივალდებულა და რის იმედსაც გვარამიას აძლევდა. ერთი სიტყვით, ბდღვინვა და სვრემა არ გამოუვიდა. თვითონვე მიხვდა, რომ ამაოდ ჯახირობდა და რა უღიმღამოდაც დაიწყო, ისე უღიმღამოდვე დაამთავრა, ჭირის ოფლდასხმულმა.

ამის შემხედვარე თამარ ბაღაშვილმა ხელთათმანი დიდი რიხით კი აიღო, მაგრამ ისეთ წვრილმან და მეორეხარისხოვან საკითხებს წამოედო, რომ მალე შეუფაკლდა ლოყები შინაგანი სიცხის ალმურით.

როცა ესტაფეტა დიანა ტრაპაიძემ მიიღო, საყოველთაოდ აშკარა გახდა, რომ დარბაზში ოცნება მეფობდა, იმდენადაც კი, რომ გადაცემის წამყვანმა გიორგი გაბუნიამ ლამის აშკარად ჩაიქნია ხელი და უბრალოდ, ვითარების „დაბალანსების“ ტაქტიკას შეუდგა, რაც, არ უნდა დავუკარგოთ და საკმაოდ მარჯვედაც შეძლო.

ისე რომ, თეა ადეიშვილს თავგანწირული ცდა, როგორმე ჩაეჭრა „ოცნება“, დიდი ნერვების წყვეტად და გაწიწმატებად დაუჯდა, მაგრამ ამაო კი გამოდგა. ჯერ ერთი, მან დაარღვია სტუმარ-მასპინძლობის ოქროს წესი და სტუმრებს შეურაცხყოფა მიაყენა უტაქტობით, თანაც არაერთგზის, რამაც მათი ბუნებრივი გაღიზიანება გამოიწვია, გადაცემის მსვლელობაში აშკარა დისონანსი შეიტანა და გ. გაბუნია აიძულა როგორმე დაესრულებინა გადაცემა. ერთიც, თეა ადეიშვილი იმდენად გამოვიდა წყობიდან, რომ ამ ფერ-ხორციან, სახიერ ქალბატონს სახე ლამის წაეშალა. და რაც უფრო ავობდა, მით უფრო მისდიოდა ხელიდან ჟურნალისტური ეთიკა.

ასეთ ფონზე „ოცნების“ გუნდმა ღირსეულად გაართვა თავი საქმეს: ბატონები კახი კალაძე, ირაკლი კობახიძე, ნუკრი ქანთარია, ქალბატონები თამარ ჩუგოშვილი, ეკა ბესელია, მანანა კობახიძე და სხვები ამომწურავ პასუხებს იძლეოდნენ დასმულ შეკითხვებზე, მაყურებელს დინჯად უამბობდნენ პარტიის სახვალიო გეგმებზე, არც თვითკრიტიკას ერიდებოდნენ...

ასე რომ, „რუსთავი-2“-ის იმდღევანდელმა „არჩევანმა“ ბევრ რამეში დააკვალიანა ცნობისმოყვარე მაყურებელი. უპირველეს ყოვლის, იმაში დაარწმუნა, რომ გვარამიას კანტორა მთავარი ნაციონალური შტაბია და მთელ საანაცეთს სული ამ პანდორას ყუთიდან ამოსდის!..

ანზორ ქოგულაშვილი

„თუ ეს მათ პოლიტიკურ ინტერესში შევიდოდა, თანაგუნდელს ადვილად გაიმეტებდნენ“

ვერ ვხვდები, გივი თარგამაძის აფეთქების ინსპირირება რუსეთს რაში უნდა აწყობდეს, – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გადაცემა 2030-ში საუბრისას.

„გარწმუნებთ, რუსეთს რომ ეს აფეთქება მოეწყო, გივი თარგამაძისგან არაფერი დარჩებოდა და კიდევ კარგი, ეს ასე არ მოხდა. მტკიცებულების გარეშე ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ მსგავსი ქმედების განხორციელება არ გაუჭირდებოდა პოლიტიკურ ძალას, რომელსაც განმუხურის მოწყობა, 2008 წლის წაგებული ომის მოგებულად გამოცხადება, დატრიალებული უბედურებების შემდეგ სამართლიანობაზე და პოლიტიკურ დევნილობაზე ლაპარაკი შეუძლია და შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს. თუ ეს მათ პოლიტიკურ ინტერესში შევიდოდა, თანაგუნდელს ადვილად გაიმეტებდნენ“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ქვეყანაში არასტაბილურობის საფრთხე იქნება იქამდე, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა ყველა ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს არ აგებს.

ერთსულოვნად – აბაშისა და მარტვილის ასალორძინებლად!

არ არსებობს ორი სწორი არჩევანი, მხოლოდ ერთადერთი არჩევანია ნაღდი და ეს არის ქართული ოცნება!

„...ის დღეს საპარლამენტო არჩევნების უალტერნატივო კანდიდატია, აბაშელებმა, მარტვილელებმა უნდა ვიამაყოთ, რადგან დღეს ასეთი ღირსეული, მზრუნველი, პრინციპული, ძლიერი სულის, განათლებული დეპუტატის არჩევის უფლება მოგვეცა“, “ჭკვიანი, საქმის გამკეთებელი, ენერგიული, თბილი, წესიერი, ის არასოდეს უღალატებს არც ხალხს, არც სამშობლოს, ასეთი ადამიანები სჭირდება დღეს ქვეყანას“, „ბატონი ოთარი არა მხოლოდ გავიცანით, შეგვაყვარა კიდეც თავი, იგია ის პიროვნება, ვისაც შეიძლება თამამად ვანდოთ ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალი...“—ასეთია დღეს აბაშელი და მარტვილელი ამომრჩევლის განწყობა მაჟორიტარობის კანდიდატის, ბატონი ოთარ დანელიას მიმართ. კანდიდატისთვის ასეთი წრფელი, სიყვარულითა და პატივისცემით სავსე მიმართვა, მართლაც სიმდიდრეა. ბატონი ოთარის პოლიტიკური მოღვაწეობა იმდენად მაღალია, სადეპუტატო არჩევნებში მისი გამარჯვება გარდაუვალია.

კეთილგანწყობილი თვალია საჭირო, ყველაფერი რომ დაინახო და გაითავისო მისი ღვაწლი, საკუთარი გულის კარნახით მოქმედებს, ბუნებრივია და უშუალო, ტრადიციის, აზრის, გონის, სულის, ინტელექტის, მადლის პიროვნებაა. ყველაფერ ამასთან, შეუფასებელია ის ტიტანური შრომა, რაც მან ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის გასწია. საინტერესო და მრავალმხრივ დატვირთული ცხოვრების გზაა მისი როგორც პიროვნების, ასევე, როგორც დეპუტატობის კანდიდატის ძირითადი განმსაზღვრელი.

„ქართული ოჯახი ისტორიულად ყოველთვის ასრულებდა როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი, ასევე ეკონომიკური ორგანიზმის ფუნქციას და ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძლიერი საყრდენი იყო...“, ბატონ ოთართან საუბარიც სწორედ ოჯახით დავიწყეთ:

— ქართველი კაცისთვის ოჯახი მუდამ წარმოადგენდა ყველაზე დიდ სიწმინდეს, ესაა ის ძალა, რომელიც ბურჯად უდგას ქვეყანას, ჩემთვის პრიორიტეტული ჩემი ოჯახია, სამწუხაროდ, დროის დეფიციტის გამო, იმ საჯარო ვალდებულებებიდან გამომდინარე, რაც გამაჩნია, ოჯახთან ურთიერთობისთვის საკმარისი დრო არასოდეს მრჩება, თუმცა, დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ნაწილსაც დავაბალანსებთ, მყავს 8 წლის ნიტა და 4 წლის დაჩი, მათთან ყოფნა ფუფუნებაა. მეუღლე მერი ჩიქობავა სოფლის მეურნეობის სპეციალისტია, პროფესიით არ მუშაობს, ვინაიდან ინტერესთა კონფლიქტი აშკარა იყო, ბუნებრივია, მივიღეთ გადაწყვეტილება — სანამ მე სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე ვიქნებოდი, თავისი პროფესიით არ ემუშავა. იმედია, თავის საქმეს მალე დაუბრუნდება, რადგან სოფლის მეურნეობის დიდი ლობისტები და ქომაგები ვართ, მნიშვნელოვანია, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ დარგის განვითარებაში.

— ბატონო ოთარ, რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ აბაშისა და მარტვილის წარმომადგენელი პარლამენტში, ხალხი ნდობას გიცხადებთ და იმედით შემოგყურებთ, გამუდმებით თქვენი ხალხთან ყოფნა გვაძლევს ამის თქმის უფლებას, როგორ აპირებთ მუშაობას და ამ გადასახედიდან, რა არის ამ ორი მუნიციპალიტეტის მთავარი პრობლემა?

—ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობა და პატივია, ვიყო აბაშისა და მარტვილის წარმომადგენელი პარლამენტში, პრაქტიკულად, ამ ორი მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელი შემოვიარე, ვიყავი ყველგან, სადაც შესაძლებელი იყო მივსულიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტა დრო მქონდა, პრაქტიკულად, წინასაარჩევნო კამპანია 9 სექტემბერს დავიწყე, რადგან 8 სექტემბრამდე ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტი მეკავა. საერთაშორისო ორგანიზაციებში საკმაოდ მაღალ პოზიციებზე ვმუშაობდი, გულწრფელად გეტყვით, არ მეგონა, მინისტრობაზე მაღალი პასუხისმგებლობა თუ არსებობდა, მაგრამ ყველაზე დიდ პასუხისმგებლობას ახლა ვგრძნობ ხალხის წინაშე. როგორც ვთქვი, უდიდესი პატივია ჩემთვის, წარმოვადგენდე ხალხის ხმას საკანონმდებლო ორგანოში, ბევრს მავალებს მქონდეს მათი ნდობა, ვალდებული ვარ გავამართლო მათი იმედები.

მოსახლეობასთან შეხვედრებისას მათ თვალებში პირდაპირ იკითხება იმედგაცრუება ზოგ დეპუტატთან მიმართებაში, იხსენებენ წარსულს და ამბობენ, რომ ლამაზად საუბრობენ კანდიდატები და საქმეს არ აკეთებენ. ბუნებრივია, იმედგაცრუება დიდი იქნება ამ შემთხვევაში. სამწუხაროდ, ამის მაგალითები არსებობს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ე.წ. კოჰაბიტაციის რეჟიმში საკმაოდ ბევრი საქმე არ ან ვერ კეთდებოდა და, შესაბამისად, ამ შემთხვევში უნდობლობა ისადგურებს.

სამეგრელოს, სრულიად საქართველოს ახლა აქვს შანსი, ერთხელ და სამუდამოდ, 8 ოქტომბერს გავაკეთოთ ერთადერთი და სწორი არჩევანი, რომელსაც ნამდვილად არა აქვს ალტერნატივა, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ და დავაჩქაროთ ქვეყნის განვითარება, შევინარჩუნოთ თავისუფლება, რომელიც ჩვენ 2012 წელს მოგვიტანა არსებულმა ხელისუფლებამ.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი პრიორიტეტი სამუშაო ადგილების შექმნაა, ეს განაპირობებს ეკონომიკურ სტაბილურობას, მდგრად განვითარებას და ეს არ არის ლიტონი სიტყვები, ეს არის რეალურად ის, რაც პირველ რიგშია გასაკეთებელი, ვინაიდან აბაშასა და მარტვილში, უმთავრეს პრობლემას დასაქმება წარმოადგენს.

უკვე დავიწყეთ მუშაობა ძალიან ბევრ საინვესტიციო პროექტზე, მქონდა კიდეც შეხვედრები ინვესტორებთან, დაახლოებით 4 ახალი საწარმოს გახსნა იგეგმება, ერთი მიმდინარე წლის დასასრულს გაიხსნება, 3 მომდევნო წელს, ეს უდიდესი შვება იქნება ხალხისთვის. დაახლოებით იგივე სიტუაციაა აბაშაში, ეთერზეთების სპეციალისტები გვყავდა ჩამოყვანილი, ამ მიმართულებით ბიზნესგეგმაზე მიმდინარეობს მუშაობა და არის კიდეც საინვესტიციო მზაობა. რძის გადამმუშავებელი საწარმოს განვითარება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მეცხოველეობის დარგი არის საკმაოდ ხელსაყრელი და პერსპექტიული. ის, რაზედაც ვისაუბრეთ, არის მხოლოდ დასაწყისი პროექტებისა, აღნიშნულის მობილიზება 2 კვირაში მოხერხდა, ვინაიდან, მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობის მინისტრობისას ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო დამეცვა ბალანსი და ყველა რაიონისთვის თანაბრად გადამენაწილებინა ყურადღება, თუმცა, ამ შემთხვევაში, ეს მოცემულობა ბუნებრივად იცვლება და ჩემთვის, უკვე აბაშა და მარტვილია პრიორიტეტი, რომელსაც, რა თქმა უნდა, მთელს ჩემს აქტივს მოვახმარ. უპირველესად, ყოფითი პრობლემებია სწრაფი ტემპით მოსაგვარებელი, იქნება ეს კომუნიკაცია, ელექტრიფიკაცია, გაზიფიცირება, გამრიცხველიანება, გზის მოწესრიგება და ა.შ. რადგან მერე საფუძვლიან განვითარებაზე გადავიდეთ, რასაც გრძელვადიან პერსპექტივაში დასაქმების, ახალი სამუშაო ადგილების, სოციალური პირობების გაუმჯობესება ჰქვია, ვინაიდან, ამ კუთხითაც საკმაოდ დიდი გამოწვევები დგას ჩვენს წინაშე. ასე რომ, საინტერესო მომავალი ოთხი წელი გველის. ეს ნიშნავს თითოეული ჩვენგანის შანსს იმისთვის, რომ განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა და ამ განვითარებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ.

— თქვენ გიცნობენ, თქვენს გაკეთებულ საქმეებს ხალხი ხედავს, და მაინც, თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი, რაც სხვა კანდიდატებისაგან გამოგარჩევთ და რის გამოც მოსახლეობამ მხარი უნდა დაგიჭიროთ?

— ადამიანი თავისი გაკეთებული საქმეებით ფასდება და იმ ღირებულებებით, რომლითაც ის ხელმძღვანელობს, შესაბამისად, ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, აბაშელებისა და მარტვილელებისათვის არსებობს შეფასების კრიტერიუმი — ერთ-ერთი გახლავთ ჩემ მიერ ორი წლის მანძილზე გატარებული რეფორმები სოფლის მეურნეობაში, რომელიც იძლევა საშუალებას, შეფასდეს ჩემი ნამუშევარი და გაკეთდეს პროგნოზი, თუ რა შემიძლია. თუმცა, მუდამ ვგრძნობ ამას მოსახლეობისაგან, ზედმიწევნით კარგად იციან პრაქტიკულად, ყველა ის მიმართულება, რომელზეც ჩვენ ვმუშაობდით სამინისტროში დარგობრივი რეფორმებისას, სწორედ ამ რეფორმებმა აღადგინა ნდობა ფერმერს, გლეხსა და სახელმწიფოს შორის.

გამომდინარე იქიდან, რომ აბაშა და მარტვილი აგრარული მუნიციპალიტეტებია, ჩვენთვის უფრო მარტივი იქნება ბევრი ახალი პროექტის ინიცირება, ვი-

დაიბადა 1979 წლის 21 სექტემბერს. 1995-1996 წ.წ. სწავლობდა ECA Academy-ში, აშშ; 1996-2000 წ.წ. დაამთავრა საქართველოს დიპლომატიური აკადემია, საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის სპეციალობით; 1997-2002 წ.წ.—ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; 2008-2010 წ.წ. — მართვის ევროპული სკოლა, თბილისი, საქართველო (თავისუფალი უნივერსიტეტი). საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესადმინისტრირების კურსი.

1999-2000 წ.წ. orthrop Grumman-ში, პროექტის ასისტენტია; 2001-2004 წწ — გაეროს დამკვირვებელთა მისია საქართველოში, EDP-ს ასისტენტი. 2004-2007 წ.წ. იყო „გაეროს ოპერაციები კოტ დ'ვუარში“, რეგიონული წარმომადგენელი; 2008-2009 წ.წ. „ბანკი რესპუბლიკა — ჯგუფი სოსიეტე ჟენერალში“ პროექტის მენეჯერი/შიდა კონსულტანტი; 2009-2011 წ.წ. — ბანკ რესპუბლიკაში — პროექტებისა და ბიზნესანალიზის დეპარტამენტის უფროსი; 2011-2013 წ.წ. სს „სილქნეტის“ დირექტორთა საბჭოს წევრია, მონიტორინგისა და სტანდარტიზაციის უფროსი; 2013-2014 წ.წ. — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო სამეურნეო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; 2014 წ. — სსიპ საქართველოს შსს-ს მომსახურების სააგენტოს დირექტორი; 2014 წლის 14 აპრილიდან 22 ივლისამდე იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე; 2014 წლის 22 ივლისიდან დღემდე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნაიდან, ზუსტად ვიცი თუ რა მოლოდინია. მინისტრობისას გავაკეთე სახელმძღვანელო, რომელიც ფაქტობრივად გზამკვლევია, ზუსტად ვიცი ის პოტენციალი, რაც ამ მუნიციპალიტეტებს აქვთ განვითარების თვალსაზრისით. მოსახლეობასთან შეხვედრებისას ვამბობ და ახლაც გავიმეორებ – მუშაობისას ჩემთვის მხოლოდ სოფლის მეურნეობა არ იქნება პრიორიტეტული, უპირველესი იქნება ჩემთვის ყველა დარგი, რომელიც საჭიროა ამ მუნიციპალიტეტების განვითარებისათვის. ჩემი უკვე ყოფილი რამდენიმე კოლეგა გვსტუმრობდა, იყვნენ ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის, დევნილთა, იუსტიციის, ინფრასტრუქტურის მინისტრები, მათი ვიზიტისას კონკრეტული პროექტები განვიხილეთ, გვქონდა კონკრეტულ ამოცანებზე საუბარი, ძალიან სწრაფად მოგვარდება ბევრი რამ.

ხშირად ვსაუბრობთ იმასთან დაკავშირებით, რომ რეგიონებიდან დედაქალაქის მიმართულებით გადინება ხდება, აუცილებელია შესაბამისი პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების სტიმულირებას, დარჩნენ თავიანთ მამაპაპისეულ მიწაზე, ჰქონდეთ შემოსავალი, ამ კუთხით მიმდინარეობს მუშაობა.

არანაკლები ყურადღება ექცევა განათლებას მუნიციპალიტეტებში, დაგეგმილია მარტვილის ტექნიკური სასწავლებლის რეაბილიტაცია და ამის მზაობა უკვე არსებობს, აქ იქნება მულტიპროფილური პროფესიული გადამზადების კოლეჯი და ვფიქრობ, საკმაოდ დიდი დატვირთვა ექნება რეგიონალური თვალსაზრისით, ასევე გეგმაშია სპორტის მიმართულებით, საინტერესო პროექტების განვითარება აბაშასა და მარტვილში, ჩვენ მოვინახულეთ რამდენიმე წარმატებული გუნდი, რომელიც შეიძლება თამამად ითქვას, მეტისმეტად რთულ პირობებში ვარჯიშის შემდეგაც კი აღწევენ დიდი წარმატებებს, მათ დახმარება სჭირდებათ.

ტურიზმის განვითარება 2017 წლიდან გახდება თვალშისაცემი, ვინაიდან, იქნება ტურისტული მარშრუტები აბაშისა და მარტვილის მიმართულებით, მოფიქრებულია სქემა, როგორ დავეხმაროთ საოჯახო სასტუმროების განვითარებას. სპეციალურად შექმნილი ბიურო, რომელიც იმუშავებს 24 საათის განმავლობაში, უშუალოდ, იქნება ჩართული ამ საკითხებში და დაინტერესებულ პირებს უშუამდგომლებს ყველა ინსტანციასთან, რათა სწორად და ოპერატიულად მოხდეს მათთან დაკავშირება და პროექტების მომზადება. როცა ტურიზმის შესახებ ვსაუბრობთ, შეუძლებელია, არ ვახსენოთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, გვაქვს ახალი აღმოჩენები ხუნწში, უნიკალური კულტურის სახლებია აბაშასა და სოფელ მარანში, შესაბამისად, ამ მიმართულებით დიდი აქტივობაა, თუმცა, მანამდეც ჩართული ვიყავი მსგავს ღონისძიებებში, ახლა კი მითუმეტეს, როცა ჩემი სამუშაო პერიმეტრი შეზღუდული აღარაა და შემიძლია, მეტად ვიაქტიურო.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, მინისტრთან მქონდა საუბარი ბევრ საჭირბოროტო საკითხზე, შევთავაზე მას ჩემი მუნიციპალიტეტები ჩართოს საპილოტე პროექტებში, რაც დააჩქარებს რეაბილიტაციის პროცესებს, ვინაიდან, ზოგი პროექტი წლებზეა გათვლილი და ახლა შესაძლებლობა არსებობს სწრაფად მოგვარდეს, ამის შემდეგ დიდი გამოწვევის წინაშე დავდგებით.

– ბატონო ოთარ, თქვენ ხალხი გიცხადებთ ნდობას, თუმცა, დამერწმუნებით, არანაკლები პასუხისმგებლობაა პარტია „ქართული-ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ მხრიდან თქვენი მაჟორიტარად წარდგენა მარტვილსა და აბაშაში...

– რა თქმა უნდა, ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა, მქონდა კონსულტაციები პრემიერ-მინისტრთან, ვინაიდან, იმთავითვე ჩემი დეპუტატობის კანდიდატობა არ იგეგმებოდა, მაგრამ ეს იყო ჩემი და პრემიერის, ბატონ გიორგი კვირიკაშვილის ერთსულოვანი გადაწყვეტილება, გულწრფელად გეუბნებით, ჩვენ დავინახეთ ამის საჭიროება, დავინახეთ რომ, ერთი მხრივ, საკანონმდებლო გუნდს სჭირდება გაძლიერება და ჩავთვალეთ, რომ მე შემიძლია ჩემი მოკრძალებული წვლილის შეტანა ამ საქმეში, მეორე მხრივ, სამეგრელოს სჭირდებოდა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, რასაც მე აუცილებლად შევძლებ. ბევრი არ მიფიქრია ამასთან დაკავშირებით და საბოლოოდ შევთანხმდით – ვყოფილიყავი მაჟორიტარობის კანდიდატი მარტვილსა და აბაშაში. ზემოთ აღვნიშნე და ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვიან ჩავერთე საარჩევნო კამპანიაში, ყველგან შევხვდი მოსახლეობას, ისინი ამომწურავად მესაუბრებოდნენ თავიანთ სატკივარზე, მთელი გულით ვუსმენდი მათ. მინდა, კვლავ შევახსენო ჩემს აბაშელებსა და მარტვილელებს – ეს არაა მხოლოდ წინასაარჩევნო შეხვედრები, მე კვლავ მათთან ვიქნები, როცა კი ამის საჭიროება გახდება, მე არ ვემზადები 9 ოქტომბრისათვის, მე ვემზადები მომდევნო 4 წლისათვის, ესაა ჩემი მთავარი მისია.

– ამ ბოლო დროს, გაუცხოება ხდება ამომრჩევლებსა და კანდიდატებს შორის, არ არის ახალი, რომ ხშირად, არჩევნების წინ მიცემული დაპირებები შემდეგ აღარ ახსენდებათ, ამის შესახებ თქვენ ზემოთ ისაუბრეთ კიდეც, როგორ უნდა აღდგეს პოლიტიკურად ჩატეხილი ხიდი ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის?

– ჩვენი სტილი არ არის ფუჭი დაპირებები, ესაა ნდობას რომ უკარგავს ამომრჩეველს, მე თავს ვიკავებ ზედმეტი დაპირებებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად ვიცი რეალურად რისი შესაძლებლობა არსებობს და ვიცი რა გაკეთდება.

ოთარ დანელია:

მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მოვიძიო ყველა აბაშელი და მარტვილელი, ვინც გასულია ქვეყნიდან და დავაბრუნო საქართველოში.

უმნიშვნელოვანესია, თითოეულ სოფელში თითო პროექტი განხორციელდეს მოსახლეობის გადაწყვეტილებით, მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით, ამ მიმართულებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

დარწმუნებული ვარ, თანდათან აღდგება პოლიტიკურად ჩატეხილი ხიდი ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის, ამის მაგალითები ჩვენ უკვე სახეზე გვაქვს.

– ცივილიზებული სამყაროს შეუქცევადი პროცესია გლობალიზაცია, იგი საფრთხეს უქმნის რიცხობრივად პატარა ერებს, როგორ უნდა უპასუხოს ამ გამოწვევას საქართველომ, ასევე პრობლემაა ემიგრაციაში წასული ქართველების ბედი, რაში ხედავთ გამოსავალს?

– ამასთან დაკავშირებით ძალიან ბევრ ვსაუბრობ კოლეგებთან, მეგობრებთან. ეს გლობალური მოცემულობაა, ისევე, როგორც ურბანიზაცია, ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება, განვითარებული, დიდი ევროპული ქვეყნების პრობლემასაც წარმოადგენს, სადაც არსებობს კომპენსაციები, რათა ადამიანებმა სოფელი არ დატოვონ, ცხოვრობენ არაჩვეულებრივ პირობებში, თუმცა, გადინება მაინც ხდება. ჩვენ ვერ ვეცდებით გლობალიზაციის და გლობალური ამოცანების გადაჭრას საქართველოს მასშტაბით, ეს გამორიცხულია, მაგრამ უნდა შევინარჩუნოთ თვითმყოფობა, მოვახდინოთ ადაპტაცია, პოზიტიურად გამოვიყენოთ ეს მოცემულობა.

აუცილებლობად მივიჩნევ, ის ემიგრანტები, რომლებიც თავიანთი დარგის ძლიერი სპეციალისტები არიან, ჩამოვიდნენ საქართველოში და ნიჭი ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენონ. ჩემი მინისტრობის პერიოდში, მქონდა პრაქტიკა, უცხოეთიდან ჩამოსული ჩვენი რამდენიმე თანამემამულე დაგვესაქმებინა, სასურველია, ამას მიეცეს უფრო მასშტაბური სახე. ეს მოდელი არსებობს ბევრგან, მაგალითად, თურქეთსა და ისრაელში, მაქსიმალურად ეცადნენ, მოეძებნათ თანამოქალაქეები და დაებრუნებინათ თავიანთ ქვეყნებში, მათთვის შეიქმნა ინფრასტრუქტურა, ძალიან კარგი შედეგი მიიღეს ამით. როცა ვამბობთ, რომ საზღვარგარეთ მყოფი პროფესიონალი თანამოქალაქეების ჩამოყვანაა აუცილებელი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქაც ბალანსია დასაცავი, რადგან აქ მცხოვრებ დაუსაქმებელ ადამიანებში, შეიძლება პროტესტის გრძნობა გაჩნდეს, ნებისმიერი ჩვენი თანამოქალაქის ჩამოყვანა უნდა უკავშირდებოდეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სხვა შემთხვევაში, ამ კარგ საქმეს, ეფექტი არ ექნება.

ჩვენი ქვეყანა ძალიან ლამაზი და მიმზიდველია, თანდათანობით კიდევ უფრო იხვეწება და მშვენიერდება, მე ვიცნობ რამდენიმე ყოფილ ელჩს, რომელთაც საქართველო აირჩიეს საცხოვრებლად თავიანთი კარიერის დასრულების შემდეგ.

ქვეყნის, სოფლის დონეზე შეიქმნება პირობები, რომელიც იდეალური იქნება ყველასთვის, ვისაც საქართველოში ცხოვრების სურვილი ექნება. მომდევნო 4 წელი ამ თვალსაზრისით იქნება ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული საქართველოს ისტორიაში, ამის მაგალითია ის, რომ ხშირია ემიგრანტების ვიზიტები, ხდება უძრავი ქონების შესყიდვა, დიდია სოფლის მეურნეობაში მათი ჩართულობა.

მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მოვიძიო ყველა აბაშელი და მარტვილელი, ვინც გასულია ქვეყნიდან და დავაბრუნო საქართველოში.

– საქართველოს ყველაზე დიდი სატკივარი დაკარგული ტერიტორიებია, როგორც ვიცით, თქვენ აფხაზეთშიც გიმუშავიათ, იქ არაერთი მეგობარი გყავთ. აქვე, აფხაზი ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას განწყობაც გავიხსენოთ: „ჩვენ ერთი ფესვის, ერთი ადათის, ერთი მიწის, ერთი ფსიქოლოგიის ერი ვართ, ქართველს, არა მგონია, ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა.“ ბატონო ოთარ, როგორ წარმოგიდგენიათ ამ პრობლემის გადაწყვეტა? აფხაზეთის დაბრუნებისთვის რა ქმედით ნაბიჯებს უნდა ველოდოთ?

– სამეგრელოს გაძლიერების ფაქტორი–ეს არის სამეგრელოს ეკონომიკური სტაბილურობა, რაც ერთ-ერთი გასაღებია აფხაზეთის დაბრუნებისა, მე დიდხანს ვიმუშავე აფხაზეთში, მყავს უამრავი მეგობარი, გაეროს მისიებშიც ერთად გვიმუშავია და სტუმრადაც ხშირად ჩამოდიოდნენ ჩემთან, იმედი მაქვს, ამის შესაძლებლობა კვლავ არაერთხელ მომეცემა. ბევრი პროექტი განვახორციელეთ, რომელიც ნდობის აღდგენისათვის უმნიშვნელოვანესია, ერთ-ერთია გმირების გადმოსვენება, რაც საპატიო და ძალიან მგრძნობიარე საკითხია. სახალხო დიპლომატია უნდა განვითარდეს, ქმედითი ნაბიჯებისთვის უნდა შეირჩეს ურთიერთობის სწორი ფორმატები, გარდა იმ ფორმატისა, რომელიც დღეს არსებობს, ვინაიდან მივაღწიოთ გარკვეულ შედეგებს. მე ვცდილობ, ამ საკითხთან დაკავშირებით ვიყო დიპლომატიური. ჩვენ ერთი ცის, ერთი მიწის შვილები ვართ, ამ პრობლემის გადაწყვეტა თითოეული ჩვენგანის მისიაა, და ამ მისიაში კი, რა თქმა უნდა სამეგრელომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს.

– ფრაზა, რომელიც ხშირად გახსენდებათ და იყენებთ ყოველდღიურად...

–ერთსულოვნება – ეს არის ის სიტყვა, რასაც ხშირად ვიყენებ ჩემს წინასაარჩევნო კამპანიისას, ვინაიდან, ერთსულოვნება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ არ გვჭირდება მტრობა, არ შეიძლება იყოს მხარეები, ვინაიდან, ჩვენ ვსაუბრობთ ქვეყნის კეთილდღეობაზე, მომავალზე.

– რას ეტყვით თქვენს ამომრჩეველს?

– მივმართავ ჩემს ამომრჩეველს, მაქსიმალურად ვიაქტიუროთ, აუცილებელია თითოეულმა ჩვენგანმა შევიტანოთ ჩვენი წვლილი ქვეყნის მომდევნო 4 წლის განვითარებაში, ათვლა იწყება 9 ოქტომბერს...

არ არსებობს ორი სწორი არჩევანი, მხოლოდ ერთადერთი არჩევანია სწორი და ეს არის ქართული ოცნება!

„პოპულარობა გარდამავალია, სახელი კი – ნაღდი“ – ბატონმა ოთარმა ნაღდი ქართველის, ერის, ხალხის გულშემატკივრის სახელი უკვე დაიმკვიდრა და ამის დადასტურება იქნება 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხალხის ნების გამოხატულება.

ბატონ ოთარ დანელიას გამარჯვება მხოლოდ მისი პიროვნული ღირსებების დაფასება არ იქნება, ეს იქნება სიკეთის, მეგობრობის, ეროვნულობის, პატრიოტიზმის, ხალხის ხმის გამარჯვება.

ესაუბრა
ვერიკო ჯიგლაძე
აბაშა-მარტვილი-თბილისი.

სანდრა რულოვსის

ნაციონალების მხარდამჭერებო, წაიკითხეთ ეს სტატია და გადაირჩინეთ სული! გადაირჩინეთ ოჯახები! გადაირჩინეთ სამშობლო!

(პირველი გვერდიდან) მოკლედ, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ პუნქტში აშშ-ს რომ არ ეთანხმებოდა, ყველას კარგად და მწარედ გვახსოვს.

მისი მმართველობის პირველივე წლებში ცხადი გახდა, რომ საქართველოს ასეთი აღვირახსნილი ხელისუფალი არასდროს ჰყოლია. დიდსა და პატარას პირზე ეკერა პრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვის ორგიები შინ თუ გარეთ, თბილისში, ბათუმში, სიღნაღსა თუ შატილში. ასევე, უცხოეთში პოლიტიკური ვიზიტების დროს. პრეზიდენტი ვერტმფრენით უვლიდა ხოლმე საქართველოს და გუნება-განწყობის მიხედვით ეშვებოდა მის ამა თუ იმ წერტილში საქეიფოდ და სალაღობოდ. დიდი ამბავი იყო ატეხილი ერთ პატარა ქალაქში იმის გამო, რომ მთვრალმა პრეზიდენტმა იქაური მოხელის ცოლს დაადგა თვალი და ქალი გადამალეს. მაგრამ პრეზიდენტი არ ცხრებოდა თურმე და ოჯახური თათბირის შედეგად ბოლოს მაინც აუსრულეს საწადელი, რათა ქმარს სამსახური არ დაეკარგა(!). ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, როგორ ლაზღანდარობდნენ ამის თაობაზე იქაური ბავშვები, როგორ შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს იქაური ხანდაზმულები.

სხვაგან მავანი მიმტანი ქალი მოუვიდა თვალში და... წინ რა დაუდგებოდა. ერთხელ საქართველოს მთაში რომ ზეიმობდა, შვეულმფრენით ჩაჰგვარეს იმდროინდელი გუნდლის რჩეული, რადგან ბრძანა, სასწრაფოდ აქ გამიჩინეთო. ხედავდნენ, როგორ შედიოდა პრეზიდენტის სასახლის ეზოში უნომრო მიკროავტობუსი, საიდანაც, როგორც საქმეში ჩახედულები ამბობდნენ, ქუჩიდან აკრეფილი „სექს-მუშაკები“ გადმოდიოდნენ მარტო მყოფი პრეზიდენტის განტვირთვისათვის. როგორც ამბობდნენ, ქალბატონებისთვის პრეზიდენტის სასახლის როგორც სასტარტო ადგილის გავლა იყო საჭირო მაღალ თანამდებობაზე მოსახვედრად... მერე კი მათ კეთილად გათხოვებაზე ზრუნავდნენ შესაბამისი მოხელეები. კი, ის ჰყვებოდა ამას, ვისაც თვითონ მოუწია მსგავსი დავალების შესრულება. მოკლედ, ინგლისურად მორატრატე, ნეოლიბერალი სულთნის კარზე ჰარამხანა იფურჩქნებოდა.

და აი, ასე, პირველი ლედი თავის სახლში მარტო ატარებდა ცხოვრებას შვილებთან ერთად. პრეზიდენტი კი – სასახლეში ბორგავდა, იქ იფრქვეოდა მისი და მისი უახლოესი გარემოცვის ჰედონისტურ-ბიოლოგიური აღტყინებები. იქ იყო იგი ბოლოს თავის მომღერალ სატრფოსთან და სხვა პარტნიორებთან ერთად.

ეს ხდებოდა ღიად, აშკარად. ეს იყო მ. სააკაშვილის ხელისუფლების სტილი, „მისი გუნდის“ პრივილეგია, რაღაც სისტემური მოვლენა, ამოსაცნობი ნიშანი. იცინოდნენ ამის თაობაზე უცხოეთში, პოლიტიკურ წრეებში, დიპლომატიურ კორპუსში.

საქართველოს ბედი ეს აღმოჩნდა, რომ მისი ღირსება ამ მხრივაც უნდა გაქელილიყო. ისედაც დამცრობილ ქვეყნის თავმოყვარეობიდან არაფერი აღარ უნდა დარჩენილიყო. მ. სააკაშვილის უსაშველო ბიოლოგიური დაუკმაყოფილებლობა შერწყმული მის სისასტიკესთან ადამიანთა მიმართ – იწვევდა ნერონისა და კალიგულას ასოციაციას, რადგან ესენი დარჩნენ მსგავსი პათოლოგიის კლასიკურ მაგალითებად დასავლეთის ისტორიულ სივრცეში.

უფრო დამცირებული, უფრო თავმოყვარეობაშელახული პირველი ლედი დემოკრატიული დასავლეთის ისტორიას არა სცნობია.

და ხალხი ამას განიცდიდა. მიუხედავად პრეზიდენტისადმი თითქმის საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილისა, მისი მეუღლე ებრალებოდა. ქალბატონ სანდრა რულოვსის ახლო წრე ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მას ჰოლანდიაში წასვლა სურდა, მაგრამ ეშინოდა. „რომ წავიდეს, მიშა მოკლავსო“ – მიმტკიცებდა ერთი მისი კეთილისმოსურნე, მეტისმეტად დამამცირებელი მდგომარეობის რაიმენაირად შესარბილებლად. მართლაც, რომელი ქალი არ გაიგებს ამ ხვედრის აუტანელ სიმწარეს?

და, ცხადია, მას ისე უნდა დაეჭირა თავი, თითქოს ქმრის ეს უკიდურესად წრეგადასული ცხოვრება, უბრალოდ, არ არსებობდა. და ასეც იჭერდა. მართალია, ეს ისე კარგად ვერ გამოსდიოდა, როგორც ყოჩაღ ჰილარი კლინტონს, როდესაც მისი მეუღლის, პრეზიდენტ ბილ კლინტონის ერთადერთ მორალურ გადაცდომას ისე ფანატიკურად ჩაეძია ამერიკული სასამართლო, რომ ელემენტარულ ნაწილაკებამდე ჩააღწია და მთელი მსოფლიო უხერხულობის შოკში ჩააგდო. ჰილარი კლინტონი კი მთელი ის ხანი მეუღლესთან ხელჩაკიდებული და ამაყად თავაწეული ჩნდებოდა, აქაოდა, ჩვენს მტკიცე ოჯახს მსგავსი პროვოკაციები ბზარს ვერ დაამჩნევსო.

და საკუთარი ძალების რამდენად უფრო დიდი დაძაბვა სჭირდებოდა სანდრა რულოვსს! ეს ხომ უწყვეტი სირცხვილი იყო მთელი ცხრა წლის მანძილზე. და ის დაძაბული ეგუებოდა: ქმრის მიერ მისი როგორც ქალის ლამის მძვინვარე უარყოფას. თუმცა, სახეზე სულ უფრო უძლიერდებოდა ჩაკლული სიხარულისა და დაფარული გამწარების კვალი. ეს ცოლების ნება ან ბედისწერაა: ზოგი ქმრისაგან ყველაფერს იტანს „ოჯახის შესანარჩუნებლად“, ზოგს პრივილეგიების დათმობას ურჩევნია, სამუდამოდ უარი თქვას ღირსებაზე. ზოგს სხვა გზა არა აქვს და იძულებულია გულში ჩაიკლას ყველაფერი და ქმარს ბოლომდე დაემორჩილოს. და ყველა გადაწყვეტილებით ბედისწერა იქსოვება.

უფრო დამცირებული, უფრო თავმოყვარეობაშელახული პირველი ლედი დემოკრატიული დასავლეთის ისტორიას არა სცნობია.

და ხალხი ამას განიცდიდა. მიუხედავად პრეზიდენტისადმი თითქმის საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილისა, მისი მეუღლე ებრალებოდა. ქალბატონ სანდრა რულოვსის ახლო წრე ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მას ჰოლანდიაში წასვლა სურდა, მაგრამ ეშინოდა. „რომ წავიდეს, მიშა მოკლავსო“ – მიმტკიცებდა ერთი მისი კეთილისმოსურნე, მეტისმეტად დამამცირებელი მდგომარეობის რაიმენაირად შესარბილებლად. მართლაც, რომელი ქალი არ გაიგებს ამ ხვედრის აუტანელ სიმწარეს?

მაგრამ, საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, სანდრა რულოვსი ზუსტად ასევე უდრტვინველად ეგუებოდა ცოლების დაქვრივებას, ბავშვების დაოგლებას, დედების გაუბედურებას, ცამდე ასულ მოთქმასა და ვაებას, ადამიანთა მეთოდურ წამებასა და პატივის აყრას ციხეებში, სადაც ის ხშირად ჩნდებოდა ხოლმე. ის ეგუებოდა ანთებული სიგარეტით სხეულის დაწვას, ძვალ-სახსართა მსხვრევას, პირში ჩაფურთხებას, ზედ დაშარდვას, ადამიანთა მასობრივ დარბევასა და შემუსვრას... დედისერთა სანდრო გვირგვლიანის თოვლზე დაგდებულ, დასერილ სხეულს, მისი დედის ირინა ენუქიძის გულისგანგმირავ გლოვას, პოლიციის მიერ დაცხრილული უდანაშაულო ახალგაზრდების მიწაზე მოცახცახე სხეულებს, მათი დედებისა და მამების სამუდამოდ განგმირულ გულებსა და უილაჯობას...

მაგრამ არა მხოლოდ ეგუებოდა... ის, აი, ასეთი ქმრის ერთგული იყო მის შავბნელ საქმეებში: იგი იტყუებოდა შინ და გარეთ, თავის სამშობლოში და, საერთოდ, უცხოეთში ყოფნისას, რომ მიშათი უკმაყოფილო მხოლოდ ის კრიმინალური წრეები იყვნენ, ვინც მიშამ სამართლიანად დასაჯა დიადი რეფორმების გატარებისას, ვინც, კაცმა რომ თქვას, ბალასტი გახლდათ აყვავების გზაზე შემდგარი სახელმწიფოსათვის... რომ საჭირო იყო ქართველ ხალხისათვის კისრის მოგრეხა, რადგან სხვაგვარად მისგან არაფერი გამოდნებოდა და, მაშასადამე, „მიშა“ სწორედ ის იყო, ვინც ამ ხალხს სჭირდებოდა“ და ა.შ.

და განა მხოლოდ შიშის გამო გააკეთებს ადამიანი ამას? არა. ქალი, ვისთვისაც სხვისი შვილების დახოცვა-დამცირება საშინელებაა, შეიძლება შიშით გაჩუმდეს, მაგრამ ასე არ იაქტიურებს ადამიანობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებათა გამართლებაში.

მაშასადამე, უკვე მაშინ, სანდრა რულოვსის პირველ ლედად ყოფნის სანუკვარ პერიოდში, სულ სხვა იმპულსსაც უნდა ემოქმედა, გარდა სტატუსის შენარჩუნების წყურვილისა: ქვეცნობიერად სანდრა შურს იძიებდა ხალხზე, რომლის თვალშიც ის ესოდენ შეურაცხყოფილი და დამცირებული იყო, ვისაც ის ან ეცოდებოდა, ან არაფრად აღარ აგდებდა. და იგი შურს იძიებდა თავისი მოღალატე ქმრის ხელით. და... ამავე დროს ქმრის გულის მოგებასაც ცდილობდა.

და, აბა ვის გაუკვირდება ეს მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიამ ესოდენ გამოწვლილვით იკვლია ადამიანის სულის ფარული სართულები, ხოლო ჩვენმა ხალხურმა ინტუიციამ ჯერ კიდევ როდის გამოთქვა ლექსად, რომ ადამიანის გული ისეთია, „ვით მორევი შავი ზღვისა...“

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ აბა, ვიღას მოუვიდოდა თავში, სანდრასთვის მოეთხოვა, მისი ქმრის მიერ დახოცილი ახალგაზრდების დედებთან მისულიყო სამძიმრის სათქმელად! მით უფრო, ვიღა აჩუქებდა ვეფხისა და მოყმის გალადას.

* * *

მაგრამ 2012 წელს მოულოდნელად ყველაფერი დამთავრდა: „აჰა, განქარდა ესე სამეფოც, მიმოქროლებას გაჰყვა ქართასა“... როგორც გვეუბნება ცნობილი ქართველი პოეტი ქალის ლექსი... გადაიხვეწა საქართველოდან ხალხის უდიდესი, ყველაზე საღი ნაწილის მიერ შეძულებული, უბნელეს საქმეებში გახვეული, დამარცხებული ცოლქმარი, შვილებიანად, რომელთა ბედიც ნაკლებად ანაღვლებდათ, ისევე როგორც ნაკლებად ანაღვლებს ყველას, ვინც ჩადენილ ბოროტებას უტოვებს მათ მემკვიდრეობად.

მაგრამ, როგორც ამბობენ, მიხეილ სააკაშვილი გაჭირვებაში არ მიატოვეს მის მიერ მომადლიერებულმა დასავლეთის პოლტიკურმა ძერებმა და იგი თანამშრომლებთან ერთად უკრაინაში დაამკვიდრეს, სადაც თავისუფალი სიყვარულის განუკურნებელ ტრფიალს, ისევე არ დასჭირდა მეუღლე, როგორც თბილისში არ სჭირდებოდა.

და აი, ოთხი წლის შემდეგ მან იხმო მისგან შეურაცხყოფილი და დამცირებული დედა თავისი შვილებისა. და მიუშვირა მას თვისი ამღვრეული თვალები ჩასახედად. და მონუსხული სანდრა მორჩილად გამოემგზავრა საქართველოში შვილთან ერთად და ბრმად შთავარდა არჩევნების მარათონში. რისი იმედით? მხოლოდ და მხოლოდ იმის იმედით, რომ ხალხი ბრბოა და, სანდრასი არ იყოს, სხვების ტანჯვა-წამებას არაფრად აგდებს; პირიქით: უხარია კიდეც, რადგან გამწარება და ბოღმა უთუხთუხებს გულში! ან რომ ხალხს მეხსიერების ჩაბნელებები სჭირს და თანამოქალაქეთა გაპარტახება უკვე დავიწყებული აქვს; რომ ხალხი გამოსულელებულია და საკმარისია, უცხოელი რძალი თავის ენაზე დაელაპარაკოს და, სიმღერაც კი უმღეროს, – მეტი არც არაფერი სჭირდება: აღტაცებისაგან აკივლდება და ვნებისაგან ატორტმანდება.

და ის, სამწუხაროდ, შორს არ არის ჭეშმარიტებისაგან. სანდრა რულოვსი თავის საარჩევნო კამპანიას ადამიანთა ყველაზე

„აღდგენითი სამუშაოები“

ბნელ სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე აგებს.

და მიცურავს სანდრა გედივით ბრბოში. მისი მოჩვენებითად სათნო ღიმილი დაგუბებულ შხამს, დიახ, მუხანათობას ჩამოფარებია: ვენდეტა! და დაანახვებს მის უარმყოფელ ქვეყანას, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ავზნიან მეუღლეს, თავის ძალას სანდრა-დამცირებული! დაანახვებს რომ ხალხს იგი მოენატრა, განსაკუთრებით სამეგრელოში. მეგრელებსა და სანდრას ერთნაირად სჭირდებათ მიყენებული ჭრილობების მოშუშება, და ისინი ერთმანეთს ათბობენ. ოღონდ, სანდრას, სინამდვილეში, თავისი თავის გათბობაც კი აღარ შეუძლია...

მე არა მჯერა, რომ სანდრა რულოვსი ციხეში მოკლული ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა, როგორც ამას მრავალი პატიმარი ამტკიცებს.

მე არ ვიცი, მართლა სპეცსამსახურების კაბინეტებში დაიწერა თუ არა სანდრა რულოვსისა და მიხეილ სააკაშვილის ცხოვრების სცენარი, როგორც ამ საქმეებთან უფრო ახლოს მყოფი ადამიანები გვამცნობენ.

არც ის ვიცი, მართლა იმისთვის ისწრაფვის დეპუტატის იმუნიტეტის მოსაპოვებლად, რომ გაექცეს შესაძლო სასჯელს თავისი ბიზნეს-დანაშაულებისათვის, თუ არა.

მე ის ვიცი, რასაც ვხედავდი და ვხედავ და ეს ერთი ძალისათვის საკმარისზე მეტია – სამყაროში მოთარეშე ბოროტების გასამდიდრებლად.

ნუ დაივიწყებთ, რომ არცერთ „ნაცს“ სინანულის ჩრდილიც არ დასტყობია სახეზე ამდენი ჩახოცილი და დასახიჩრებული ადამიანის გამო. რომელ ბოდიშზე და პატიების თხოვნაზეა ლაპარაკი!

და სანდრამ გადალახა უსირცხვილობის რუბიკონი და განიზრახა მოქცევაი ქართლისაი: რათა იგი კვლავ დაუბრუნოს „ეშმაკთა“ სამეფოს.

როტების გასამდიდრებლად.

მე ვხედავ, როგორ ატყუებს და ასულელებს ჩემს ხალხს, როგორ უმტკიცებს, რომ თურმე ყორნის გასათეთრებლად მისი ქვეშით ხეხვაც კი არ არის საჭირო, უბრალო საპნიანი წყალიც საკმარისია, ხოლო კუზიანს სამარის გარეშეც უსწორდება კუზი. ვხედავ, როგორ აბრუნებს უკან გაჭირვებულ ხალხს მასობრივ აღვირახსნილობასა და სისასტიკეში; როგორ რყვნის მას, როცა საუკუნის დანაშაულს – სანდრო გვირგვლიანის უღმერთო წამებასა და სამსხვერპლო ცხოველივით დაკვლას თუ ღირსებით სავსე სამხედრო პირის კოლექტიურ გაუპატიურებას, როცა მთელი ციხე მსხვერპლის ღრიალით ზანზარებდა, – ნაზი ღიმილით „შეცდომებს“ უწოდებს, შეცდომებს, რომლებიც მას თურმე არ ეხება!

და კიდევ ერთი რამ ვნახე, რაც უშუალოდ შემეხო: 2010 წელს ჩვენი საზოგადოება შეძრა „ნაციონალური ხელისუფლების“ კიდევ ერთმა ექსცესმა, რომელსაც ყოფილი მხედრიონელი და ქილერი, ბატონი ნიკოლოზ რურუა მეთაურობდა (არ დაგავიწყდეთ თანამოქალაქენო, რომ სწორედ ეს სისხლიანხელებიანი კაცი იყო ნაციონალების კულტურის მინისტრი!), ჰოდა, ამ კაცმა პრეზიდენტს მიაღებინა გადაწყვეტილება მთელს კავკასიაში ცნობილი, უძველესი სამშვიდობო ორგანიზაციის, კულტურისა და განათლების ცენტრის „კავკასიური სახლის“ გამოძევების შესახებ იმ შენობიდან, რომელიც მისთვის ააშენა ევროპულმა ფონდმა „ჰორიზონტმა“. ამ ფონდის რეზიდენცია ნიდერლანდებშია, მას იქაური ადამიანები მართავენ, და მათ სწორედ „კავკასიურ სახლში“ გაიცნეს თავიანთი თანამემამული სანდრა რულოვსი, რომელიც აქ, როგორც ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი, ხშირად დაიარებოდა. და ყველანი სიყვარულით ვიღებდით მას. ის კი, სათნოღიმილიანი და მეგობრული, ჩვენთან სტუმრად რომ დადიოდა და წვეულებებზე თავის თანამემულეებსაც ხვდებოდა, თურმე ჩვენს შენობას სათავისოდ ათვალიერებდა. და აი, დადგა დღეც ოცნების ასრულებისა. 2010 წელი. კუდ-ი და სოდ-ი გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ მთელი მომსახურე პერსონალი ქუჩაში უნდა გავეყარეთ, „კავკასიური სახლისთვის“ მთელი უძრავი ქონება წაერთმიათ და მის სანაცვლოდ დაარსებული რუსული ცენტრისთვის გადაეცათ... თანამშრომლების ბინებში უკვე ჩხრეკა დაიწყო ტერორის მიზნით... სანდრა რულოვსის რომელიღაც ფონდისათვის განკუთვნილი იყო მთელი პირველი სართული. ხოლო მეორე და მესამე სართულები – „რუსული კულტურის ცენტრს“ უნდა დაეკავებინა. და აქ მთავარი ის არის, რომ „კავკასიური სახლის“ გაუქმებას და მის ნაცვლად „რუსული მუზეუმის“ შექმნას მისი დაარსების დღიდან: 1994 წლიდან, არაოფიციალურად თუ ღიად, დაჟინებით ითხოვდა რუსეთი, განსაკუთრებით, მეორე რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შემდეგ, როდესაც „სახლმა“ ჩეჩენი ლტოლვილები შეიფარა. საერთოდ, ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ „კავკასიური სახლი“ რუსეთისაგან რეპრესირებული ორგანიზაცია იყო თავისი მისწრაფებების გამო, მიეღწია შიდა კავკასიური სოლიდარობისა და თანხმობისათვის. და ნეოლიბერალიზმისა და „ევროპული ფასეულობების“ განსახიერება ბატონი რურუა ქალბატონ სანდრასთან ერთად უმჭიდროეს კავშირს ამყარებს თბილისში ოფიციალურად მოქმედ მეხუთე კოლონასთან და მასთან ერთად აუქმებს „კავკასიურ სახლს“! მხოლოდ ჩვენი და დასავლური საზოგადოების მძაფრმა პროტესტმა იხსნა ორგანიზაცია დაღუპვისაგან და პრეზიდენტმა სააკაშვილმა მისი აღსრულება შეაჩერა. და მადლობა დღევანდელ ხელისუფლებას, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, იურიდიულად დაგვიმტკიცა ჩვენთვის აშენებული შენობა და დასავლელი მეგობრების თხუთმეტწლიან გაოგნებას და ჩვენს ტანჯვას წერტილი დაუსვა.

ასე რომ, საკუთარ კანზე გამოვცადეთ, რა შეიძლება იდგეს სანდრას მომხიბლავი ღიმილისა და ქალური მანერების უკან. და თუ რატომ სჭირდებოდა თავისი ფონდის რუსული კულტურის ცენტრთან (ასეთი „ცენტრები“ სინამდვილეში, სულ ცოტა, საგენტოებია) თანაარსებობა, ეშმაკმა უწყის.

და მაინც გამიჭირდება თქმა, რომ ის თავის მეუღლესთან თუ მეგობარ ნ. რურუასთან ერთად ორმაგი აგენტია, თუ სამმაგი, არ ვიცი. ეს ქსელები არ მესმის. რასაც მე თვითონ ვხედავ, ისიც საკმარისია...

და მიცურავს სანდრას ტკბილი ღიმილი და მოღუღუნე ხმა აღტყინებულ ბრბოს თავზე და მიცურავს სანდრა ბრბოს ტალღებზე თავისი გაურკვეველი მომავლისაკენ. ნუთუ მართლა ჰგონია, რომ ამ ნაკადმა ის შეიძლება ნანატრ მიკროსოდომში – პრეზიდენტის გიგანტურ სასახლეში შეაცუროს?

მაშ რა ამოძრავებს, რატომ გაირთულა კიდევ უფრო ცხოვრება და გადაიდო მშვიდი მომავალი? რატომ დაუპირისპირდა ასე ჯიუტურ საქართველოს? რატომ წამოიკიდა ტვირთი, რომელიც იმ საფეხურზე უფრო მძიმეა, ჯაყოს მიერ მოტყუებულ, პატივაყრილ და გასრესილ მარგოს რომ წამოუკიდია ზურგზე და წიქვილის გზას მიუყვება? შვილებს კიდევ უფრო რატომ უმძიმებს საკუთარი მამის წყალობით ისედაც დამძიმებულ ხვედრს?

მხოლოდ კაცის კი არა, ქალის გულიც შავი ზღვის მორევსა ჰგავს, და თუ რაღაც სპეციერარქიის მიერ მიღებულ დავალებას გამოვრიცხავთ, რომელსაც ცოლიც და ქმარიც ერთნაირად ემორჩილებიან, მაშინ ეს ვერსია რჩება: ალბათ მიუღწეველი მეუღლის მიერ დაკისრებული საბრძოლო დავალების შესრულებით სანდრა იმედოვნებს მისი გული მოიგოს, მისი კეთილგანწყობა დაიმსახუროს და, ვინ იცის, დაიბრუნოს კიდეც...

ეს სანდრას ამოკის რბოლაა, ის ვეღარ გაჩერდება... მან – ახლა უკვე ბრბოს დედოფალმა – ძალიან სევდიანი ფურცლები თავისი წარსულიდან ისევ მომავალში გადაიტანა...

რაც შეეხება ბრბოს: დიახ, ბრბოა ის ხალხი, ვინც ცხრა წლის მანძილზე ნაწამები თუ ჩახოცილი სხვისი შვილების, სხვისი მამების, სხვისი ძმებისა და სხვისი ქმრების გვამებზე გადააბიჯა და თავისი ბნელი ინსტინქტებით ისევ მიშა-სანდრასკენ გაიქცა;

ვინც ვერ და არ გაიგო, რა მოხდა საქართველოში 2004-დან 2012 წლამდე; ვისაც არ ანაღვლებს, საქართველოს სხეული პრეზიდენტ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის წყალობით დაჭრილ-დასახიჩრებული და სისხლდინარე რომ გდია: რადგან გული ამოაგლიჯეს და კიდურები ჩამოაჭრეს...

ვინც წესიერად ვერ ერკვევა, მაინც რა დაკარგა საქართველომ; მაინც რა არის და სად არის ეს ქართლია თუ კოდორი...

ვისაც არ სტანჯავს ზნეობის უკიდურესი დაცემა საკუთარ ქვეყანაში, ვინც ვერ დაინახა, რომ ამ გადაგვარებას უძლიერესი სტიმული მ. სააკაშვილის პირადმა ცხოვრებამ, ახალგაზრდობის მიმართ მისმა ამორალურმა მოწოდებებმა, ნაციონალური მოძრაობის მიერ წესიერების ყველა ნორმის გაქელვამ მისცა;

ეს მარადიული ბრბო!

ის შეჰბღაოდა აღტყინებით ფაშიზმსა და ბოლშევიზმს! მილიონობით ადამიანთა გაცამტვერებას! ის არის დასაყრდენი თანამედროვე სახელმწიფოებრივი ტერორისა და რეპრესიებისა, რადგან არ გააჩნია სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი და მოთხოვნილება! არ გააჩნია ფსიქიკური სიმაღლე და შინაგანი მთლიანობა! გამქრალი ან მოჩლუნგებული აქვს თანაგრძნობა და თანატანჯვა!

დიახ, ბრბოა, გინდაც მეგრელი იყოს, გინდაც ქართველი, გინდაც კახელი..

ბრბოა ის, ვინც ახლა ისევ ბოროტმოქმედებს აძლევს ხმას არჩევნებში, რის გასამართლებლადაც ახლანდელი ხელისუფლებისადმი სიძულვილი ვერ გამოდგება. ამ ხელისუფლების კრიტიკა დაუსრულებლად შეიძლება (რისი უფლებაც ყველასა აძვს „ნაცებისა“ და მათი მომხრეების გარდა), მაგრამ ეს ხელისუფლება ხალხის სისხლში ამოსვრილი არ არის და ადამიანებზე არ ნადირობს. პირიქით: ამ ყველაფერს სწორედ მან დაუსვა წერტილი, მაშინ როცა მავანმა მწერლებმა, მხატვრებმა თუ ჟურნალისტებმა აღარ იცოდნენ, როგორ მიტმასნოდნენ ნახევრადშეშლილ მიკროდიქტატორს.

თუმცა, თუ გაჟულს ეს „ოცნება“, – გადახაზე, აირჩიე ვინც გინდა, მაგრამ ძვეყნის ჩამოყალიბებულ მტერს, უმძიმეს ცოდვებში ჩაფლულ ქალას ნუ მისცემ ხმას. ლახვარს ნუ ჩასცემ შენი ძვეყნის მომავალს!

და ბრბოა ისიც, ვინც არ იცის, რომ რა საზომითაც შენ ზომავ, იმავე საზომით გაიზომები განგების მიერ და უნდა გეშინოდეს, როცა სხვისი შვილების უგედურებას ამართლებ (ხოლო წინა პრეზიდენტის დედა თურმე ლათინო-ამერიკულ ცეკვებზე დადის გულის გადასაყოლებლად. და არც სხვა „ნაცების“ დედები იძცევიან ადეკვატურად, რაც ბუნებრივია, ვიღაცამ ხომ შობა და გაზარდა ისინი).

და აგზნებული ბრბო ღრიალით მოირწევა და მოჰყავს თავისი დედოფალი– იერიშზე გადმოსული სანდრა-დამცირებული.

მე კი იმან უფრო დამაწერინა ეს წერილი, რომ უსირცხვილობის ზუსტ სიმბოლოებს ვეძებდი.

სამწუხაროდ, ხშირად მიწევს გამეორება, რომ სირცხვილის დაკარგვა ეს ადამიანის დაცემის უკანასკნელი საფეხურია, უფრო მეტიც: ეს არის „დაცემა იმაზე ქვემოთ, ვიდრე შესაძლებელია დაეცეს კაცი“, ერთ პოეტს თუ დავესესხები. მკვლელსაც ეშვება, ქურდსაც და მეძავსაც, თუ სირცხვილის გრძნობა გამქრალი არა აქვს, სხვას რას გვიჩვენებს სახარების უძირო სიბრძნე და გულმოწყალება! მაგრამ ურცხვი ადამიანის წინაშე ალბათ ღმერთიც უძლურია.

ერთი თანამედროვე ქრისტიანი მოღვაწე აფრთხილებს ადამიანებს:

„ძალიან მოერიდეთ იმათ, ვისაც საკუთარი დანაშაულისა და შეცდომის შეგრძნება არა აქვს; ვინც არასოდეს იხდის ბოდიშს.“ სწორედ ასეთ ძალებს, რომლებიც ყველაზე მეტად ისწრაფვიან ძალაუფლებისაკენ, უწოდა დოსტოევსკიმ „ეშმაკნი“ და მან ძალიან კარგად იცოდა, რასაც გულისხმობდა.

ნუ დაივიწყებთ, რომ არცერთ „ნაცს“ სინანულის ჩრდილიც არ დასტყობია სახეზე ამდენი ჩახოცილი და დასახიჩრებული ადამიანის გამო. რომელ ბოდიშზე და პატიების თხოვნაზეა ლაპარაკი!

და სანდრამ გადალახა უსირცხვილობის რუბიკონი და განიზრახა მოქცევაი ქართლისაი: რათა იგი კვლავ დაუბრუნოს „ეშმაკთა“ სამეფოს.

და უსირცხვილობის წარუშლელ სიმბოლოდ დარჩება საქართველოს ისტორიას ცოლ-ქმარი სანდრა და მიშა, როგორც დარჩა ქართულ ლიტერატურას მუცელღმერთობისა და უსაქმურობის სიმბოლოდ ლუარსაბი და დარეჯანი; ძალადობისა და მუხანათობის სიმბოლოდ – ჯაყო, უპასუხისმგებლობისა და უთავმოყვარეობის სიმბოლოდ – თეიმურაზ ხევისთავი, და უკიდურესად დამცირებული ქალის სიმბოლოდ – ორივეს ცოლი და მსხვერპლი მარგო. ხოლო „მიშამ“ ეს სამივე კაცი შეიერთა, ქვეყანა ცოდვითა და სისხლით აავსო და ისევე დაკარგა ქართლის ნაწილი, როგორც თეიმურაზ ხევისთავმა თავისი მამულები.

და ჩვენ, როგორც არ უნდა დავიღალოთ, მაინც მუდამ უნდა ვებრძოლოთ ემოციურ ატროფიასა და ამნეზიას, როგორც მერაბ მამარდაშვილი იტყოდა: „ზნეობრივ დალტონიზმს“ ჩვენში, რათა უნებურად გვამებს არ გადავაბიჯოთ და იქ არ აღმოვჩნდეთ, სადაც „ეშმაკები“ სუნთქავენ.

1 ოქტომბერი, 2016

P. S.

ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როცა ვიხილე მაჟორიტარ დეპუტატ ქ-ნ სანდრა სააკაშვილ-რულოვსის შეხვედრა თავის ბრბოსთან სენაკში. და მასთან მისული ია მეტრეველი, რომელსაც ერთხელ „მგლოვიარე მშვენიერება“ ვუწოდე. დედა, რომელსაც ერთადერთი უდანაშაულო შვილი მოუკლა სააკაშვილის „სისტემამ“ და რომელიც თვითონაც ბევრჯერ მოკლეს ცრუ ადვოკატებმა, ცრუ მოსამართლეებმა და უგვანო ტელეჟურნალისტებმა მიწაზე მოცახცახე, მომაკვდავი ბავშვის უამრავჯერ ახლოდან ჩვენებით. „მინდა თვალებში ჩაგხედოო“ – უთხრა მან ქ-ნ მაჟორიტარს. და, კარგად შეხედეთ, მეგობრებო, სანდრას, აი, მისი ნამდვილი სახე! ყინულოვანი სახე დაპროგრამებული რობოტისა! და დაიმახსოვრეთ მისი სიტყვები: „ეს მე არ მეხება“.

და გამახსენდა, როგორ მითხრა ერთხელ მისმა ყოფილმა ახლობელმა: „სიტყვებზე „ცხვრის ტყავში გახვეული მგელი“ მუდამ სანდრა რულოვსი მიდგება თვალწინო (ამის დაწერაზე ზემოთ მაინც თავი შევიკავე, მაგრამ ახლა...).

და კიდევ ეს გამახსენდა: „...და ვიხილე დედაკაცი, მჯდარი ღვთისსაგმობი სახელებით სავსე შვიდთავიან და ათრქიან შავწითელ მხეცზე... და დავინახე, რომ დამთვრალი იყო წმიდათა... სისხლით, და რომ ვუყურებდი, მიკვირდა დიდად“ (გამოცხადება იოანესი).

ნაირა გელაშვილი,
4 ოქტომბერი.

ქარის ენერგიას ქარი ვერ წაილებს!..

საქართველოში ქარის პირველი ელექტროსადგური ექსპლუატაციაში შევიდა. ელექტროსადგურ „ქართლის“ გახსნის საზეიმო ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო. გიორგი კვირიკაშვილმა მოსახლეობას მნიშვნელოვანი სიახლე მიულოცა და საქართველოში ალტერნატიული ენერგიის წყაროს ამუშავება დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასა.

მთავრობის მეთაურმა გაწეული სამუშაოებისთვის მადლობა გადაუხადა პროექტის ყველა მონაწილეს, განსაკუთრებით კი ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს კახა კალაძეს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა აღნიშნული პროექტი.

„დღეს ჩვენ უკვე გვაქვს თანამედროვე სტანდარტების ქარის ელექტროსადგური, რომელიც ფუნქციონირებს ალტერნატიული ენერგიის წყაროს გამოყენებით. თავისი სპეციფიკიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, ეს ელექტროსადგური მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, რომლის ღირებულებაც 34 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს ელექტროსადგური საშუალებას მოგვცემს ზამთარში ქვეყნის ელექტროენერგიის მოთხოვნის ნაწილი დავაკმაყოფილოთ ქარის ენერგიის ხარჯზე. რაც მთავარია, ეს არის როგორც ეკონომიური, ისე ეკოლოგიური და უსაფრთხო ჩვენი მოსახლეობისთვის. საქართველოს აქვს ისეთი ალტერნატიული ენერგიის რესურსი, როგორიცაა ქარისა და მზის ენერგია. მჯერა, რომ ამ რესურსების სათანადოდ ათვისება დამატებით სიმძლავრეებს შესძენს ჩვენი ქვეყნის ენერგოსექტორს. დღევანდელი დღე კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველო ხდება ცივილიზებული სამყაროს ნაწილი და ამ პროექტის განხორციელებით ჩვენ მაქსიმალურად ვნერგავთ ყველა იმ სიახლეს, რომლითაც საქართველო იქცევა ჭეშმარიტად განვითარებულ, მოწინავე ტექნოლოგიების ქვეყნად“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

ელექტროსადგურ „ქართლის“ პროექტი საქართველოს „ენერგეტიკის განვითარების ფონდისა“ და „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციის“ შვილობილმა კომპანიამ შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურმა“ განახორციელა. ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 20,7 მეგავატია, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერგია 88 მლნ კვტ/საათი. ქარის ელექტროსადგური შედგება ექვსი აგრეგატისაგან, თითოეულის სიმძლავრე შეადგენს 3,45 მგვტ-ს.

20 051 მოქალაქეს მიწა საკუთრებაში დაურეგისტრირდა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ მიწის რეგისტრაციის რეფორმის მიმდინარეობის ორი თვის შედეგები შეაჯამა. უპრეცედენტო პროექტი, რომელმაც მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციის პროცესში არსებული ბარიერები მოხსნა, ხოლო პროცედურები მაქსიმალურად გაამარტივა, 1 აგვისტოდან დაიწყო.

სამინისტროს ცნობით, 1 აგვისტოდან დღემდე საჯარო რეესტრში მთელი ქვეყნის მასშტაბით 74 838 განცხადება შევიდა. აქედან 20 051 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა თავად მოიძია საჭირო საბუთები და ყოველგვარი ბარიერის გარეშე მოქალაქეს მიწა წარმატებით დაურეგისტრირა. 40 065 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა, რეფორმის შედეგად შეძენილი ახალი უფლებამოსილებების წყალობით, მოქალაქის ნაცვლად თავად დაიწყო სხვადასხვა უწყებაში შესაბამისი საბუთების მოძიება და ამ განცხადებათა დიდი ოდენობაც წარმატებით დასრულდება, 8 433 განცხადება კი ამჟამად შესწავლის პროცესშია.

ერთი თვის განმავლობაში საჯარო რეესტრში დღეში, საშუალოდ, 1600 განცხადება შედის, ხოლო რეკორდულად დიდი ოდენობის განცხადება 31 აგვისტოს შემოვიდა (5008).

ორი თვის განმავლობაში საჯარო რეესტრმა, ჯამში, სხვა უწყებებში 80 609 წერილი გაგზავნა მოქალაქის ინტერესში საბუთების გამოთხოვის შუამდგომლობით. თავიანთი სწრაფი და მრავალრიცხოვანი გამოხმაურებებით სახელმწიფო უწყებებიდან ყველაზე აქტიურნი საქართველოს ეროვნული არქივი (19 646 პასუხი), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (8 338 პასუხი) და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (1 531 პასუხი)არიან.

ამას გარდა, რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა აზომვითი ნახაზის ახალი სტანდარტი და 1 სექტემბრიდან განხორციელებული ყველა ნახაზი ამ სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს. გაიმიჯნა პასუხისმგებლობა ამზომველსა და მოქალაქეს შორის. კერძოდ, უძრავი ნივთის ადგილმდებარეობასა და საზღვრის იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელია მესაკუთრე, ხოლო აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასა და ნახაზის სისწორეზე — ამზომველი.

მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის მოქალაქეებს შეუძლიათ, მიმართონ იუსტიციის სახლებს, საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებსა და საზოგადოებრივ ცენტრებს. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე: 2 405 405 ან ელექტრონული ფოსტით: info@napr.gov.ge.

„ნენსკრა ჰესის“ ტერიტორიაზე საოპერაციო სოფლის მშენებლობა დაიწყო

„ნენსკრა ჰესის“ მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები ტემპს იკრებს. იწყება საოპერაციო სოფლის (ოპერატორის მუდმივი საცხოვრებელი უბანი) მშენებლობა, რომელიც ჯამში 110 ადამიანზეა გათვლილი, — აცნობეს მედიანიუსს საპარტნიორო ფონდიდან.



ოპერატორის მუდმივი საცხოვრებელი უბანი მოიცავს 5 შენობას, მათ შორის ერთ, ორ და სამსართულიან საცხოვრებელ სახლებს, ერთ სასტუმრო სახლს, ასევე სასაწყობე/საოფისე შენობებს. მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურა. საოპერაციო სოფელში „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობაზე დასაქმებული სპეციალისტები იცხოვრებენ. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულების შემდეგ კი ინფრასტრუქტურა ჰესის საკუთრებაში დარჩება.

ამ დროისთვის საწყისი სამშენებლო სამუშაოების შედეგად გაყვანილია დამბის, კაშხლისა და ქვესადგურის სამშენებლო მოედნებამდე მისასვლელი გზები, მიმდინარეობს დამატებით გეოლოგიური კვლევები. ამჟამად ჰესის სამშენებლო სამუშაოებზე საერთო ჯამში დასაქმებულია 120 ადამიანი, მათ შორის 80% ადგილობრივი. 2017 წლის გაზაფხულიდან დაიწყება ჰესის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები, სადაც ეტაპობრივად უკვე დამატებით 400-ზე მეტი ადგილობრივი დასაქმდება.

„განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება და გარემოს უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა, ამ მხრივ ძალიან ბევრი სამუშაო ჩატარდა, მათ შორის შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. გაურკვევლობა, რომელიც მოსახლეობაში არსებობდა ამ პროექტის მიმართ, თითქმის ამოწურულია“, — განაცხადა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ.

280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურს საპარტნიორო ფონდი კორეულ კომპანია K-Water-თან ერთად სვანეთში მდ. ენგურის შენაკადზე აშენებს, რომლის პოტენციური წლიური გამომუშავება 1.2 მლრდ კვტ/სთ. იქნება.

სადგური ელექტროენერგიის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს, ხოლო პროექტი საბოლოოდ 2021 წელს დასრულდება.

„ტექნოპარკი“ გურჯაანშიც იქნება

გურჯაანს, „ტექნოპარკის“ სტრატეგიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი კინწურაშვილი მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან ერთად ესტუმრა. მათ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გურჯაანის ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან დავით სონღულაშვილთან ერთად ის ადგილები მოინახულეს, სადაც უახლოეს მომავალში ტექნოლოგიური პარკი მოეწყობა.

როგორც ცნობილია, უკვე 2017 წლის დასაწყისში გურჯაანელებს საერთაშორისო სტანდარტების ინოვაციური ცენტრი ექნებათ.

ტექნოპარკი, ყველა მსურველს აპლიკაციების შექმნის, ვებდიზაინის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, შესწავლის შესაძლებლობას მისცემს. ახალგაზრდები შეძლებენ თავიანთი იდეების და ჩანაფიქრების რეალიზებას.

„ტექნოპარკის გახსნა არის შესანიშნავი შესაძლებლობა გურჯაანელი მოსახლეობისათვის განახორციელონ თავიანთი კრეატიული იდეები და მიიღონ მაღა-

ლანაზღაურებადი სამუშაო. წარმომადგენლებმა შეარჩიეს 2 ადგილი, საიდანაც ერთ-ერთში განთავსდება ტექნოპარკის სრული კომპლექტი,“ — აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

კეთილმოწყობილი ხეივანი თამარაშვილის ქუჩაზე

თამარაშვილის ქუჩის გზის გამყოფი კილომეტრნახევრიანი ხეივანი სრულად კეთილმოეწყო. დასრულებულ სამუშაოებს თბილისის მერი დავით ნარმანია მოადგილესთან ირაკლი ლექვინაძესთან და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსთან ნინო სულხანიშვილთან ერთად გაეცნო. განახლებულ ხეივანში მერთან ერთად იმყოფებოდნენ ვაკის რაიონის გამგებელი ნოდარ ტურძელაძე და საბურთალოს რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე.

დავით ნარმანიას განცხადებით, 50 წელზე მეტია, ხეივანი არ განახლებულა და ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის კიდევ ერთი კომფორტული და მოსასვენებელი მწვანე სივრცე მოეწყო.

1961 წელს გაშენებულ ხეივანს, წელს, პირველად ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და დედაქალაქს კიდევ ერთი კომფორტული დასასვენებელი ადგილი შეემატა. რეკონსტრუქციის ფარგლებში, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები და სარწყავი სისტემა, დაიგო ქვაფენილი, შეიცვალა ბორდიურები, დამონტაჟდა განათების 108 ბოძი და ლამპიონი, დაიდგა სკამები და ურნები, დაიგო 10 000 კვ.მ მწვანე გაზონი. ხეივნის ტერიტორია სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარითა და დეკორატიული ბუჩქებით გამწვანდა. დაირგო სამი სახეობის ტუიას, ოლეანდრას და ფორციზიას ბუჩქოვანი მცენარეები, მოეწყო საყვავილე თარგები.

„MAN“-ის ახალი ავტობუსები № 61 ხაზზე გავიდა

„Man Truck and Bus AG“-ის ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი, ეკოლოგიურად სუფთა, CNG ძრავზე მომუშავე და ადაპტირებული ავტობუსები № 61 ხაზზე გავიდა. ახალი ავტობუსები მარშრუტს ბაგებიდან იწყებს, გაივლის ჭავჭავაძისა და რუსთაველის გამზირებს და თავისუფლების მოედნის გავლით ბარათაშვილის ქუჩამდე ჩადის.

ახალი ავტობუსებით მგზავრობის ღირებულება სტანდარტულია და 50 თეთრს შეადგენს. მოქმედებს დაწესებული შეღავათებიც. ავტობუსი შშმ პირებისა და ჩვილ ბავშვთა ეტლებისთვის არის ადაპტირებული: აღჭურვილია სპეციალური პანდუსითა და მათთვის სალონში შესაბამისი სივრცეებია გამოყოფილი. საზოგადოებრივ ტრანსპორტში გათბობა-გაგრილების სისტემის კლიმატ-კონტროლი მუდმივად 22 გრადუსზეა დაპროგრამებული, რაც ზამთარ-ზაფხულ თანაბარი და კომფორტული ტემპერატურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

მეორე ეტაპზე ახალი ავტობუსები №51 ხაზს დაემატება. აქამდე აღნიშნულ მარშრუტზე მოძრავი ავტობუსები კი, №61 ავტობუსების მსგავსად, სხვა ხაზებზე გადანაწილდება, რაც ქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილებებს შორის ინტერვალს შეამცირებს და მგზავრობას უფრო კომფორტულს გახდის.

თებერვლის ბოლომდე, თბილისის ავტოპარკი ეტაპობრივად 143 ერთეული ავტობუსით განახლდება.

განახლდა ამბროლაურის აეროპორტი

ამბროლაურის აეროპორტში ასაფრენ-დასაფრენი ზოლი გაიხსნა.1 100-მეტრიან ასაფრენ-დასაფრენ ზოლს, რომლის სიგანე 30 მეტრია, შეუძლია, შეზღუდვის გარეშე მიიღოს L 410 (19-ადგილიანი) ტიპის საჰაერო ხომალდები. ამბროლაურში აეროპორტის მშენებლობის ინიციატივა პრემიერ-მინისტრს ეკუთვნის, რის შესახებაც განცხადება გიორგი კვირიკაშვილმა 16 აგვისტოს გააკეთა.

ივანიშვილი რისკზე მიდის და ბიზნესმენების თავზე სახარებას კითხულობს...

(მეორე გვერდიდან)

რას უნდა მიაღწიოს საქართველომ ახალ ეტაპზე ივანიშვილის მიერ ჩაფიქრებული გადატვირთვის შედეგად?

- ეკონომიკურ აყვავებას.
- მოსახლეობის დასაქმებას ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხარჯზე.
- ქალაქებსა და სოფლებში მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას.
- სოფლის მეურნეობის უპრეცედენტო განვითარებას და მრეწველობის აღორძინებას.
- სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის კიდევ უფრო მაღალ დონეს.
- მოქალაქეთა კიდევ უფრო საიმედო სამართლებრივ დაცვას და კანონის წინაშე საყოველთაო თანასწორობას.
- ქვეყანაში დაწყებული სამართლიანობის აღდგენის პროცესის დასრულებას.
- რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას და სავიზო რეჟიმის გაუქმებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სრულმასშტაბიანი მოგვარების საფუძველზე.
- აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ინტეგრაციას.

ივანიშვილი დარწმუნდა, რომ ამ ამოცანების გადასაწყვეტად არ სჭირდება არა მარტო ნაციონალები, არამედ არც გუშინდელი პარტნიორები კოალიციიდან — **რესპუბლიკელები, „თავისუფალი დემოკრატები“ და „ფორუმელები“,** რომლებიც ოპოზიციონერები კი არა, ელემენტარული შანტაჟისტები და ხარბი გამომძალველები აღმოჩნდნენ. რეგიონულ მედიასთან შეხვედრებისას ივანიშვილმა პირდაპირ ტელეეთერში, ბოლოს და ბოლოს, თქვა მათზე და ასევე **„მესამე სექტორზე“** ის, რასაც მთელი ეს წლები ამბობდა ქართველი ხალხი, თან საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი სკანდალური ფაქტებიც დაუმატა, რომლებიც აშკარად მოწმობს მათ მდაბალ, მომხმარებლურ მორალზე, სახელმწიფო მოღვაწის წოდებაზე პრეტენზიას სულაც რომ არ შეესაბამება.

ტელეკომპანია GDS-ის წინასაარჩევნო პროექტი **„შეხვედრები რეგიონულ მედიასთან“,** სადაც ივანიშვილი მისაწვდომად უხსნიდა მოსახლეობას სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებსა და პერსპექტივებს, ავლებდა ანალოგიებს, მრავალი მონაცემით ოპერირებდა და ანალიტიკურ უნარ-ჩვევებს ავლენდა, პრაქტიკულად, **გადატვირთვის პრეზენტაციად** იქცა, რომელსაც ეს პუბლიკაცია ეძღვნება. და ცხადია, გადატვირთვის საპრეზენტაციო ნაწილი გახდა ივანიშვილის გამოსვლა ეკონომიკურ ფორუმზე 24 სექტემბერს, სადაც **მან არასასიამოვნო შეკითხვები** (რომლებიც, პრაქტიკულად, პასუხებს შეიცავდა!) **დაუსვა ბიზნესმენებს. ივანიშვილი დარწმუნდა,** რომ „მგლის თავზე სახარების კითხვა“ ფუჭი საქმეა — თითქმის ყველანი, ვისაც იგი თავიდან ანგარიშს უწევდა და ურთიერთობა ჰქონდა, სააკაშვილის გამოუსწორებელ ფანებად ან, უკეთეს შემთხვევაში, პრიმიტიულ პოლიტიკურ მეძავებად დარჩნენ. მათ შორის არ წასულან ის **ბიზნესმენებიც,** რომლებიც დღემდე ფარულად ასპონსორებენ „ნაცმოძრაობას“ და სააკაშვილის დაბრუნება ენატრებათ, რომელსაც ქრთამს უხდიდნენ, სამაგიეროდ კი პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ — მონოპოლია ჰქონდათ კონკრეტულ სფეროებში.

როგორც წესი, ისინი იყვნენ მოქმედი ან ყოფილი სახელმწიფო მოხელეები — მექრთამეები და ქრთამის გადამხდელები **„ცეხავიკების“** ფსიქოლოგიით, რომლებიც სახელმწიფოს ხარჯზე გახდნენ ბიზნესმენები: ან პირველი ოპერაციები სახელმწიფო ბიუჯეტის ფულით ჩაატარეს, მერე კი კაპიკებად მოახდინეს სახელმწიფო ქონების პრივატიზება და თავიანთი კერძო, ჩრდილოვანი ბიზნესი ლეგალური გახადეს; ანდა პირველი მილიონები სხვისი კერძო ბიზნესის „დაკრიშვით“ და ამაში „წილის“ აღებით მოიპოვეს.

ხართ თუ არა დღეს საკმარისად აქტიურები?! ბევრ თქვენგანს ჩემზე გაცილებით უკეთესი ეკონომიკური განათლება აქვს, მაგრამ რამდენად ახერხებთ, გარშემო მყოფებს გაუზიაროთ სიკეთეები, რომლებიც ახალმა ხელისუფლებამ მოუტანა ბიზნესს? ახალმა ხელისუფლებამ გაგათავისუფლათ უკანონო გადასახადებისაგან და მაქსიმალურად შეამცირა ოფიციალური ბეგარა, დღეს სახელმწიფო ჯიბეში არ უძვრება ბიზნესმენებს, მაგრამ აფასებთ კი თქვენს დღევანდელ მდგომარეობას? რომელი თქვენგანი გადარჩებოდა დღემდე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ნაცმოძრაობას“ რომ გაემარჯვა და არა „ქართულ ოცნებას“?! — ჰკითხა ივანიშვილმა ბიზნესმენებს და უსაყვედურა, რომ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია ღარიბებმა კი არა, შეძლებულმა ბურჟუაზიამ მოახდინა, ანუ ბიზნესმენებმა, რომლებიც, მათგან განსხვავებით, ბევრად უფრო აქტიურები იყვნენ.

ივანიშვილს ეს ქვეშეცნეულად წამოცდა: **ქართველი ბიზნესმენების ზემოთ ხსენებულ კატეგორიას ყოველთვის შეუძლია, გააქტიურდეს და მართლაც სცადოს სახელმწიფო გადატრიალება კანონიერი ხელისუფლების დასამხობად, თუკი შესაბამის სიგნალს მიიღებენ ან სააკაშვილისაგან, რომელიც დღემდე „წილში“ ჰყავთ** (ანუ მათი საქმიანი პარტნიორია), **ანდა უცხოელი პარტნიორებისაგან.**

საქმე ის არის, რომ **საქართველოში არა მხოლოდ პარტიებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, არამედ მსხვილ ბიზნესებსაც, რომლებიც რაიმე გზით უცხოეთთან არის დაკავშირებული** (ბანკები ერთობლივი კაპიტალით, ერთობლივი კომპანიები, რომლებიც ნედლეულის ექსპორტს ან მზა პროდუქციის იმპორტს ეწევიან), **აკონტროლებენ დასავლეთის სპეცსამსახურები, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ საქართველოში ეკონომიკური „ქილერების“ როლი შეასრულონ ან მორიგი „ფერადი რევოლუცია“ დაასპონსორონ. ამიტომაც ამ ბიზნესკომპანიების ხელმძღვანელობაში უეჭველად არიან „დაკონსერვებული“ ე.წ. „ო-დე-ერ“-ები, ანუ მოქმედი რეზერვის ოფიცრები, ოღონდ არა ადგილობრივი სახელმწიფო უშიშროებიდან, არამედ უცხოური დაზვერვის მიერ გადაბირებული აგენტები.**

დიახ, უელექტორატო პოლიტიკოსები და მძარცველი ბიზნესმენები, რომლებიც ხალხს არ უყვარს, ცალცალკე საფრთხეს არ წარმოადგენენ და სასაცილონიც კი არიან. **მაგრამ თუ გაერთიანდებიან და გარედან მხარდაჭერასაც იგრძნობენ, ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ, დიდი პრობლემები შეუქმნან ივანიშვილს — ეკონომიკური კრიზისის და სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება მოახდინონ და, ამგვარად, სახელმწიფოში სიტუაციის დესტაბილიზაციას მიაღწიონ.** ამიტომ ივანიშვილი მეორედ რისკავს, თანაც— არანაკლებ, ვიდრე პირველად, რადგან თავისი **გადატვირთვით** ძალიან ბევრს გაეჩხირება ყელში...

არნო ხიდირბეგიშვილი,
საქინფორმის მთავარი რედაქტორი.

საქართველოს ეროვნული ბანკის საუფლებო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და სებ-ის პრეზიდენტის 2016 წლის 8 სექტემბრის №80 განკარგულებისა, 2016 წლის 1 ნოემბერს, დღის 12 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქ. 2, ოთახი №416) ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ 2,724 კვ.მ. ფართობის არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.05.007.071), მდებარე: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №7.

მიწის ნაკვეთის საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვრა 625 000 (ექვსას ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის (აუქციონის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის N GE88NB0450100117904101 ანგარიშზე, ბე-ს შეტანის დღეს არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში (ს/კ 203824148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ მოხდება შეძენილი მიწის ნაკვეთის ღირებულების დაფიქსირება ეროვნულ ვალუტაში, რომლის გადახდაც სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი ბე-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ბე-ს შემოტანის დღეს არსებული კურსით. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მიწის ნაკვეთის მყიდველის სახელზე გადაფორმება მოხდება 20 დღის განმავლობაში.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე. შემოტანილი ბეს საფასურის უკან დაბრუნება მოხდება შემოტანილი ბეს ლარების შესაბამისად.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და მიწის ნაკვეთის სანახავად შეგიძლიათ მიმართოთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია

◎ რეპლიკა

რომელს დავუჯეროთ?

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა პრაგმატულად გათვლილ რეალურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს ეფუძნება, რაც იმის იმედს იძლევა, რომ შემდგომი 4 წლის განმავლობაში „ქართული ოცნება “ განახორციელებს ძირეულ რეფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და თითოეული ოჯახის კეთილდღეობის ამაღლებას.

დამაიმედებელი პროგნოზია და ჩვენც ეს გვინდა. მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ როგორც ცნობილია, ნაწილი მთელის გარეშე არ არსებობს. ასე,მაგალითად; სურა რომ გატყდება, ცალკე აღებული ყური მნიშვნელობას კარგავს. მაინტერესებს, „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული ინიციატივები 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახული რატომ არ არის? თურმე არ ყოფილა. ამას წინათ ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა დავით ონოფრიშვილმა განაცხადა. იმედია, ტყუილს არ მოიგონებდა: ბიუჯეტის პროექტს გადავხედე და „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული არც ერთი ინიციატივა იქ არ არის ასახულიო. ეს რას ნიშნავს? კი მაგრამ, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში მმართველი პარტია არ მონაწილეობდა? მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში თურმე არც პენსიების და არც სხვა მნიშვნელოვანი ნაწილის ზრდა არ ჩანს. უფრო მეტიც, პროექტის მიხედვით, ეკონომიკის ზრდა არის მხოლოდ ოთხი პროცენტიაო, მაშინ როცა ივნისში შემოსულ ძირითად მიმართულებებში შეთანხმებული იყო ხუთპროცენტიანი ზრდა.

გამოდის, რომ ქვეყნის ეკონომიკის ზრდა მინიმუმის მინიმუმზე ყოფილა ორიენტირებული. ეკონომისტი არა ვარ, დეტალებში რომ ჩავწვდე ამ საკითხს. მე უბრალოდ მაინტერესებს, რომელს დავუჯეროთ — „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამას თუ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომლის შედგენაშიც ეჭვგარეშეა, „ქართული ოცნებაც“ მონაწილეობდა.

მზია გელენავა

◎ ანონსი

უზნაძეს ცირეკიძე შეცვლის

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბში უახლოეს მომავალში ძირეული ცვლილებები განხორციელდება. გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობას ირაკლი უზნაძის ნაცვლად ირაკლი ცირეკიძე ჩაიბარებს. ინფორმაცია ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმაც დაადასტურა. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების სამწვრთნელო შტაბების შეცვლის იდეაც სწორედ მას ეკუთვნის.

„ოლიმპიური ციკლი დასრულდა, შემდეგ ციკლში კი ნაკრებს ახალი თავკაცი ეყოლება. დაახლოებით ერთ კვირაში გუნდს სათავეში ირაკლი ცირეკიძე ჩაუდგება, რომელიც ამჟამად ასაკობრივი ნაკრებების დამრიგებელია“ – განაცხადა ქევხიშვილმა.

ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტისვე სიტყვებით, თავად ცირეკიძე გადაწყვეტს, თუ რომელი სპეციალისტები დაეხმარებიან მას გუნდის გაწვრთნაში. დიდი ალბათობით, ახალ სამწვრთნელო შტაბში გურამ მოდებაძე და მინდია ბოდაველი იმუშავებენ.

აქვე ერთი საინტერესო ამბავიც: ქართველ მწვრთნელებთან ერთად შტაბში ერთი უცხოელიც იქნება, რომელიც კონტრაქტის გაფორმებამდე ფედერაციისგან კონკრეტულ დავალებას მიიღებს. სავარაუდოდ, იგი ყველა ასაკობრივ ჯგუფთან ერთად იმუშავებს და პროგრამული მენეჯმენტის გარდა, მას ქართველი ძიუდოისტებისთვის ჩოქბჯენში ჭიდაობის სწავლება დაევალება.

„ამ კომპონენტებთან დაკავშირებით მშვენიერი კანდიდატიც გვყავდა შერჩეული – ოლიმპიური და ევროპის ნგზის ჩემპიონი, ჰოლანდიელი მარკ ჰუიზინგა, მაგრამ ეს ვარიანტი ჩაიშალა, რადგან ჰუიზინგამ ჰოლანდიური შეთავაზება მიიღო. ამჟამად ერთ ცნობილ სამხრეთკორეელ სპეციალისტთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას“ – განაცხადა დავით ქევხიშვილმა.

ნოემბერში ძიუდოისტებს საქართველოს ჩემპიონატი ელით, დეკემბერში კი ჩემპიონ-პრიზიორებით დაკომპლექტებული გუნდი ახალი სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელობით პირველ მოსამზადებელ შეკრებას გაივლის.

ირაკლი უზნაძემ საქართველოს ნაკრები სწორედ ქევხიშვილის პრეზიდენტობის პერიოდში – 2013 წლის დასაწყისში ჩაიბარა და მას შემდეგ გუნდთან ერთად ბევრჯერ მიაღწია წარმატებას. ევროპის და საქართველოს საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს. ერთადერთი, რაც მის სამწვრთნელო კოლექციას დააკლდა, ოლიმპიური ოქროა. რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე უზნაძის გუნდმა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ირაკლი ცირეკიძე ეროვნულ ნაკრებს სათავეში ერთხელ უკვე ედგა – 2012 წლის 13 სექტემბრიდან 2013 წლის 3 იანვრამდე, ხოლო ბოლო წლებში დავით ბოდაველთან ერთად ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებს ხელმძღვანელობს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ასე იყო, ასე იქნება...

„ჭიათურას“ მწვრთნელი შეეცვალა

პირველლიგელ „ჭიათურას“ მწვრთნელი შეეცვალა. გუნდი დატოვა გამოცდილმა ვლადიმერ ხაჩიძემ, რომელიც გასული სეზონის მეორე ნახევრიდან თავკაცობდა ზემოიმერლებს და სწორედ მის ხელში მოახერხეს ჭიათურლებმა პირველ ლიგაში დარჩენა.

ხაჩიძის ნაცვლად მიხეილ კიპაროიძე დაინიშნა, რომელიც ადგილობრივი სპეციალისტია და „ა“ ლიცენზია აქვს.

„ჭიათურა“ „წითელ ჯგუფში“ მეშვიდე ადგილზეა და 7 მატჩში 7 ქულა აქვს. მას 3 ქულა დააკლდა, თორემ მეოთხე პოზიციაზე იქნებოდა. 16 სექტემბერს „ბორჯომი“ – „ჭიათურას“ მატჩში (2:0) სტუმართა შორის შეცვლაზე შევიდა ნიკოლოზ გაბაძე, რომელიც მატჩის ოქმში არ იყო შეყვანილი სათადარიგოებს შორის. სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად „ჭიათურას“ ჩაეთვალა 0:3 წაგება და დააკლდა 3 ქულა, ხოლო ჯარიმის სახით შეეფარდა 2500 ლარის გადახდა.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგიონერი

დვალიშვილის პირველი გამარჯვება

აკაკი დვალიშვილის „ნოვოსიბირსკმა“ რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობა გამარჯვებით დაიწყო. იქაურ უმაღლეს საკალათბურთო დივიზიონად ვი-თი-ბის ლიგა ითვლება, რის შემდეგაც მოდის სუპერლიგა 1, 2 და 3. სწორედ სუპერლიგა 1-ში ასპარეზობს დვალიშვილის გუნდი, რომელმაც პირველ ტურში სურგუტის „უნივერსიტეტ იუგრას“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 75:71 სძლია.

ქართველი ცენტრფორვარდი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. დვალიშვილი თამაშში სათადარიგოებიდან ჩაერთო და მოედანზე 15 წუთი გაატარა. აკაკიმ ასპროცენტიანი სიზუსტე გამოავლინა და 2-დან 2 ორქულიანი ჩააგდო. მოპოვებულ 4 ქულას ქართველმა ლეგიონერმა 3 მოხსნა მიამატა და მისი მონაგარიც სწორედ ეს გახლდათ. დვალიშვილმა 2 ჯარიმა მიიღო და ბურთიც 2-ჯერ დაკარგა.

ნოვოსიბირსკელთაგან 20 ქულით საუკეთესო იყო დიმიტრი მაკეევი, ხოლო ალექსანდრ მალავნიკოვმა შეხვედრა 15 ქულით დაასრულა. გუნდის სასტარტო ცენტრმა ალექსეი კურცევიჩმა, რომელიც გუნდის ერთადერთ ლეგიონერ დვალიშვილზე 1 წლით უფროსია, მოედანზე 30 წუთზე მეტი გაატარა და ორმაგი დუბლი – 10 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა.

მომდევნო მატჩს დვალიშვილის გუნდი ისევ შინ ხვალ მოსკოვის მბა-სთან გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მეტოქე

იაპონიის ნაკრები: 15 დებიუტანტი და 21 გამოცდილი

საქართველოს ეროვნული ნაკრები 2016 წლის ნოემბრის პირველ ტესტ-მატჩს თბილისში „მიხეილ მესხზე“ იაპონიასთან გამართავს. წარსული გამოცდილებ-

ბის გათვალისწინებით „ბორჯღალოსანთა“ საწვრთნელი შემადგენლობის ოფიციალურ დასახელებას მინიმუმ ოქტომბრის ბოლომდე არ უნდა ველოდოთ, მოწინააღმდეგეებმა კი საზოგადოებას გაფართოებული შემადგენლობები უკვე წარუდგინეს.

იაპონიის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჯეიმი ჯოზეფმა უკვე შეარჩია ის 36 მორაგბე, რომელთა იმედი ნოემბერში გასამართ 4 მატჩში ექნება. ეს მისი პირველი შემადგენლობაა იაპონიის ეროვნული ნაკრების თავკაცის რანგში. უკვე ვწერდით, რომ აზიელებს სამი ლიდერი – კაპიტანი მაიკლ ლეიტჩი, მთავარი დამრტყმელი და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მორაგბე აიუმუ გორომარუ და ჰენდრი ტუი დაკლდებიან.

ჯოზეფის საწვრთნელი რაზმი 36 მორაგბისგან შედგება და იაპონია 5 ნოემბერს ტოკიოში არგენტინას დაუხვდება, რის შემდეგაც გეზს ევროპისკენ აიღებს. როგორც მწვრთნელისგან ირკვევა, ზემოთნახსენები სამეულის გარდა მომავალი თამაშებისთვის იაპონია კიდევ რამდენიმე მორაგბეს მოისაკლისებს.

„სხვადასხვა მიზეზების გამო დაახლოებით 10 მორაგბე მოვისაკლისეთ და შედეგად არჩევანი შევაჩერეთ იმ ახალ მოთამაშეებზე, რომლებმაც იაპონიის ტოპლიგაში თამაშისას თავი გამოიჩინეს. მათ დაიმსახურეს საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის შანსი. ახალგაზრდებმა ეს შანსი საქმისადმი დამოკიდებულებით მიიღეს და მოუთმენლად ველი მათთან მუშაობის დაწყებას“ – ამბობს ჯოზეფი.

36 მორაგბეს შორის 15 დებიუტანტია, თუმცა, გუნდში არიან ცნობილი სახეებიც – ჰიტოში ონო, კენსუკე ჰატაკეიამა და ფუმიაკი ტანაკა. ჯეიმი დებიუტანტების კვალობაზე გამოცდილების მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს:

„გამოცდილი მორაგბეების გუნდში ყოლა უმნიშვნელოვანესია, რათა სტაბილურად გამოვიდეთ. ჩვენ ვიცით, რა შეუძლიათ მათ ასეთ დონეზე და მათი გამოცდილება მომავალ თამაშებში გადამწყვეტი იქნება. თუმცა, ამ ეტაპზე ჩვენთვის უმთავრესი სამომავლო პერსპექტივაა.

პირველ ეტაპზე მოვაწყობთ მინი-ბანაკს, სადაც გავეცნობით მოთამაშეებს და მათ მივცემთ დავალებებს. არგენტინასთან თამაშამდე რეალურად მოსამზადებლად 6 დღე გვექნება. ჩვენ უნდა ავირჩიოთ გუნდის კაპიტანიც. მოთამაშეებთან მექნება ინდივიდუალური საუბრები, რათა სწრაფად მოხდეს ლიდერის შერჩევა. თუ გვსურს მაღალ დონეზე მომზადება, მოთამაშეებსა და მწვრთნელებს შორის ასეთი საუბრები აუცილებელია“.

გარდა არგენტინისა და საქართველოსი, ნოემბრის ტესტებზე იაპონია 19-ში კარდიფში უელსს, ხოლო 26-ში საფრანგეთის ქალაქ ვანში ფიჯის შეხვდება.

კობა კობახიძე

◎ შენც, ბრუტუს?!

ტაისონ ფიური:

„მივდივარ... მაგრამ დავბრუნდები“

მსოფლიოს საკრივო ორგანიზაციისა (WBO) და მსოფლიოს საკრივო ასოციაციის (WBA) ვერსიების საჩემპიონო ქამრების მფლობელმა ტაისონ ფიურიმ კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. ბრიტანელმა მძიმეწონოსანმა გადაწყვეტილების შესახებ ქომაგებს სოციალური ქსელის მეშვეობით აუწყა, მაგრამ... სულ რამდენიმე საათში აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათის განცხადება გააკეთა:

„გგონიათ ასე ადვილად მომიშორებთ? არც იფიქროთ, არსადაც არ მივდივარ. როდესაც უკეთ ვიქნები, აუცილებლად დავიცავ იმას, რაც მე მეკუთვნის“ – დაწერა ტაისონ ფიურიმ თავის მიკრობლოგში.

მსოფლიოს ჩემპიონს ტიტულების დასაცავად უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოსთან ბრძოლა ჯერ კიდევ 9 ივლისს ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ კოჭის ტრავმის მომიზეზებით 29 ოქტომბრისთვის გადადო, ახლახან კი კიდევ ერთხელ ითხოვა თარიღის გადაწევა. ბრიტანელის სამწვრთნელო შტაბმა პრობლემის დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. მხოლოდ ზოგადი განმარტება გავრცელდა – „ბრძოლისთვის შეუსაბამო სამედიცინო მდგომარეობა“.

ბრიტანულმა გამოცემებმა ფიურის მოთხოვნის შესაძლო მიზეზად მისი დოპინგთან დამოკიდებულება დაასახელეს. ეჭვი მალევე დადასტურდა – გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსოფლიოს ჩემპიონის სისხლში კოკაინის კვალი აღმოაჩინეს.

ჩამოართმევენ თუ არა ფიურის ტიტულებს, სავარაუდოდ უახლოეს დღეებში გაირკვევა.

ბადრი იაშვილი



რუსთაველიდან - გალაკტიონამდე





დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით გაიმართა საიუბილეო პროექტი „რუსთაველიდან – გალაკტიონამდე“.

შოთა – 850, ვაჟა – 155, გალაკტიონი – 125.

პროექტის ავტორმა და ორგანიზატორმა, დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ **ნანა ჭიჭინაძემ** მისალმების შემდეგ მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და სპეციალურად თბილისიდან მოწვეულ სტუმრებს.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე გახლდათ მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრი, გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი, „საუკუნის ლეგენდის“ ნომინანტი **ნაირა გორაშვილი,** პროექტის მხარდამჭერი – მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი,** საიუბილეო საღამო გაიმართა მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის **ვანო ნატროშვილის** პატრონაჟით. საინფორმაციო მხარდამჭერი ტელეარხი „ობიექტივი“, თოქ შოუ „დედოფლისწყაროს საათი ილია მარტყოფლიშვილთან ერთად“ და გაზეთი „შირაქის“ რედაქტორი **ინგა შიოლაშვილი.**

სპეციალურად ამ დღისთვის ხელოვნების სკოლის ფოიეს ამშვენებდა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონის სურათები და ამონარიდები მათი შემოქმედებიდან. აქვე გამოიფინა ახალგაზრდა მხატვარ-დიზაინერის **ხათუნა ბაბუხაძის** გობელენები.

პროექტში სპეციალური მოწვევით მონაწილეობდა საპატიო სტუმარი – ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი, ბაირონისა და გალაკტიონის მკვლევარი და მთარგმნელი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი **ინესა მერაბიშვილი** და საქართველოს ბაირონის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ჟურნალისტი **ნუგზარ რუხაძე.**

საღამო მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმის „ინესა მერაბიშვილის“ ჩვენებით დაიწყო, რის შემდეგაც თავად საპატიო სტუმარმა, ქალბატონმა ინესამ ვრცლად ისაუბრა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონის შემოქმედებაზე, ნუგზარ რუხაძემ და ქალბატონმა ინესამ წაიკითხეს გალაკტიონის ლექსები ინგლისურ და ქართულ ენებზე. სტუმრებს სათანადო პარტნიორობას უწევდნენ დედოფლისწყაროს სკოლა „ბენაურის“ (დირექტორი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ცაცა ბენაშვილი**) მოსწავლეები: **კატო გვენეტაძე, მარიამ მეხრიშვილი და ლიკა გოგილაშვილი,** რომლებმაც ქალბატონი ინესას წიგნიდან „გალაკტიონ ტაბიძე“, დიდი შთაგონებით წაიკითხეს პოეტის ლექსები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ეს იყო ჩემთვის სიურპრიზი – დასძინა ინესა მერაბიშვილმა და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორებს, პირადად ქალბატონ ნანა ჭიჭინაძეს.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ ნაირა გორაშვილმა ქალბატონ ინესას გადასცა მუნიციპალიტეტის გამგეობის სიგელი და დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოების სახელით. თავად ინესა მერაბიშვილმა ღონისძიების ორგანიზატორები დააჯილდოვა საქართველოს ბაირონის საზოგადოების საპატიო სიგელებით და თავისი გამოცემული წიგნებით.

საიუბილეო საღამო დასრულდა საფორტეპიანო მუსიკის კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდა ბაირონის სკოლის, პარალელურად ნიჭიერთა ათწლეულის X კლასის მოსწავლე, შოპენის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი **სანდრო გეგეჭკორი,** ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტის საშემსრულებლო ხელოვნებამ გააოცა მსმენელი. ეს მშვენიერი დღე – 29 სექტემბერი საყოველთაო დღესასწაულად აქციეს თბილისიდან ჩამობრძანებულმა ძვირფასმა სტუმრებმა და დედოფლისწყაროელმა მასპინძლებმა.

მარიკა პოპიაშვილი,
დედოფლისწყარო

სანთელი

კონსტანტინე მარშავა

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ენგურჰესელი, შესანიშნავი ინჟინერი, დიდებული ადამიანი კონსტანტინე (კოტე) მიხეილის ძე მარშავა. ენგურჰესის მშენებლობის დაწყებისთანავე კოტე მარშავა ინიშნება ენგურჰესის მშენებლობის №1 უბნის სახელოსნოებისა და სამონტაჟო სამუშაოების უფროსად. ცნობილია, რომ პირველი მუშაპერსონალი ენგურჰესის მშენებლობაზე სწორედ მის მიერ იქნა მიღებული.

1965-1967 წ.წ. იგი იყო ენგურჰესის გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე, ხოლო 1967 წლიდან ენგურჰესის მშენებლობის დასრულებამდე ენგურჰესის ძალოვანი კვანძის სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

1981-1994 წ.წ. იგი მუშაობდა ტრესტ „საქსოფლელექტროქსელმშენის“ აფხაზეთის №1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსად.

იგი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებილი და 2004 წლამდე – პენსიაზე გასვლამდე – მსახურობდა აფხაზეთის ელექტროქსელებში, დირექტორის მოადგილედ. მიღებული აქვს მთავრობისა და ენერგეტიკის სამინისტროს მრავალი ჯილდო და სიგელი.

კოტე მარშავას მთელი ცხოვრება ნათელი მაგალითია მომავალი თაობებისათვის, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს ქვეყანასა და შენს ხალხს.

დიდ პროფესიონალს, გულისხმიერ მეგობარს, საქმის უზადო ორგანიზატორს არასდროს დაივიწყებენ მისი მეგობრები და კოლეგები.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია მივუსამძიმროთ ბატონი კოტეს შვილებსა და შვილიშვილებს დიდი დანაკლისის გამო.

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა
პროფესიული კავშირი
საქართველოს ენერგეტიკის
ვეტერანთა კავშირი

ხსოვნა



შვილები ელგუჯა (ბუბა), მარინა, ციცო, შვილიშვილები თორნიკე, მიხეილი, მარიკა, ლიკა, გიორგი მწუხარებით იუწყებიან

შალვა (ხიტა) ქებურიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 7, 8 X, მისამართი:

შემოსავლის შესახვევი 12 (პრეზიდენტის რეზიდენციის გვერდით), გამოსვენება საბურთალოს სასაფლაოს ეკლესიიდან 9 X, 14 სთ.

სანთელი

აბელ გეგია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩინებული ადამიანი

რეზო ჯიჯეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, სანათესაოს. ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო გასვენებას ვერ ვესწრები.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ქირურგიული სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელი, ქირურგთა მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, აკადემიკოსი

გურამ ტატიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკავებულია კრედიტის უკანონო მიღების, თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე

საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს თანამშრომლებმა, კრედიტის უკანონო მიღების, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე სს „კორსტანდარტ ბანკის“ დიდუბის ფილიალის ყოფილი მმართველი ირაკლი აბშილავა დააკავეს.

ირაკლი აბშილავას სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე წვდომა ჰქონდა ბანკის დეპოზიტორთა მონაცემებთან. 2013 წლის 4 აპრილს, მისთვის ცნობილი გახდა მოქალაქე მ.ჯ.-ს მიერ ამავე ბანკში დეპოზიტზე 800 000 აშშ დოლარის განთავსების შესახებ. ირაკლი აბშილავამ გადაწყვიტა მ.ჯ.-ს დეპოზიტზე არსებული თანხის უზრუნველყოფით იმავე ბანკის ფილიალიდან სესხის აღება. ამ მიზნით დაამზადა ყალბი დოკუმენტაცია, რომელთა გამოყენებითაც 2013 წლის 4 აპრილს მიიღო 655 000 აშშ დოლარის ოდენობის უკანონო კრედიტი. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ირაკლი აბშილავამ ფულადი თანხები წარმართა წინარე პერიოდში აღებული სხვა კრედიტების გადასაფარად.

ამასთან, ირაკლი აბშილავამ, იმავე დეპოზიტზე განთავსებული თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, მოქალაქე მ.ჯ.-ს მოტყუებით მოაწერინა ხელი დოკუმენტაციაზე და 2014 წლის 4 აპრილს დაეუფლა დეპოზიტზე განთავსებულ 759 800 აშშ დოლარს.

საბაჟო პუნქტებში ნარკოტიკები აღმოაჩინეს

28-29 სექტემბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“, „ვალე“ და „ყაზბეგი“, მებაჟე ოფიცრებმა 26 აბი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატი და 0.8 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ე.წ. „მარიხუანა“ აღმოაჩინეს. საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულებს გადაეცათ, – აცნობებს მედიანიუსს შემოსავლების სამსახურიდან.

სანთელი

აბელ გეგია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩინებული ადამიანი

რეზო ჯიჯეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, სანათესაოს. ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო გასვენებას ვერ ვესწრები.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ქირურგიული სკოლის გამოჩენილი წარმომადგენელი, ქირურგთა მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, აკადემიკოსი

გურამ ტატიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით.

ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

მაშველებმა სამი ადამიანი გადაარჩინეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველებმა ყაზბეგში, თრუსოს ხეობაში, სამი ახალგაზრდა მამაკაცი გადაარჩინეს.

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ თრუსოს ხეობაში სალაშქროდ წასულ სამ ახალგაზრდას, ამინდის გაუარესებისა და რთული რელიეფის გამო, გზის გაკვლევა გაუჭირდა და დახმარება ესაჭიროებოდა.

შეტყობინების მიღებისთანავე, სააგენტოს მაშველები შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით შემთხვევის ადგილზე გადაფრინდნენ. წარმატებით ჩატარებული სამაშველო ღონისძიებების შედეგად, ახალგაზრდები დროულად იპოვეს და უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს. შსს-ს ინფორმაციით, მოლაშქრეების სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

◎ ანეკდოტები

ნეტავ ვინმემ იცოდეს, რა ძნელია მარტოხელა ქალისთვის ვაჟიშვილის გაზრდა, რომელიც მას დედამთილმა გაუჩინა!..

* * *

— ალო, ჰიდრომეტეოცენტრია? კი მაგრამ, გუშინ რომ გამოაცხადეთ, მზიანი ამინდი იქნებაო და თავსხმა წვიმა რომ მოდის, რა ხდება, რაშია საქმე?

— რაშია, გენაცვალე და სიურ-პრი-ზია!..

* * *

— ისე, მაინც რა არის ცხოვრება! ეგ კაცი ყოველთვის „არას!“ ამბობდა, მაგრამ, საკმარისი იყო ერთხელ „დიახ!“ ეთქვა, და ახლა გამუდმებით „დიახ, ძვირფასოს!“ თქმა უწევს.

* * *

— იცი, ძვირფასო, რას დავაკვირდი? — კეკლუცად ეუბნება ცოლი ქმარს, — თუკი სახლიდან გასვლის წინ პერანგზე ზედა ოთხ ღილს არ შევიკრავ, თვალების დახატვა სულაც არ მჭირდება.

* * *

— გილოცავთ ჩემო ძამიკო, ეგრევე გემჩნევა, რომ კარგი მეუღლე შეგხვდა, დიდებულად დაუთოვებული პერანგი და კარგად გაპრიალებული ფეხსაცმელი გაცვია!

— აბა რა! პერანგის დაუთოვება და ფეხსაცმლის გაწმენდა პირველი იყო, რაც ცოლმა მასწავლა, ვიდრე ჭურჭლის რეცხვასა და იატაკის მოწმენდას მასწავლიდა!

* * *

— ქალს რას გაუგებ, ძამიკო: ხან იმითაა უკმაყოფილო, რომ ქმარი ეგოისტი ჰყავს და მხოლოდ საკუთარი უყვარს, ხან ის აგიჟებს, მას სხვა ქალი თუ უყვარს!..

* * *

რჩევა ცოლებს: რაც უფრო იშვიათად მოუმზადებთ მეუღლეს სადილს, მით უფრო გემრიელი იქნება ის.

* * *

ქმარი ეუბნება ცოლს:

— შენ, რაღა თქმა უნდა, გაახალგაზრდავების იმდენი საშუალება შეგიძლია მოიხმარო, რამდენიც გენებოს, მაგრამ, მაინც ნუ დაივიწყებ, რომ შენსა და ჩვენს ქალიშვილს შორის, სულ მცირე, 9 თვე განსხვავება მაინც უნდა იყოს!

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

ქალებს უფრო მეტი უნდა ეძინოთ...

ინგლისელმა მეცნიერებმა ახალი კვლევა გამოაქვეყნეს, რომლის მიხედვითაც ქალებს, მამაკაცებზე უფრო მეტი ძილი ესაჭიროებათ.

ექსპერიმენტში მონაწილეობა 1000-მდე ადამიანმა მიიღო. მეცნიერები აკვირდებოდნენ ქალისა და მამაკაცის ტვინის და ნერვული სისტემის ფუნქციონირებას.

აღმოჩნდა, რომ ქალის ტვინი, რამდენიმე საქმეზე ერთდროულად ფიქრობს, მაშინ როცა მამაკაცი ჯერ ერთ კონკრეტულ საკითხს წყვეტს და შემდეგ გადადის მეორეზე. მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, რთული პრობლემის მოგვარებისას, ტვინის ორივე ნახევარსფეროს იყენებენ, მამაკაცები კი მხოლოდ ერთს.

ასეთ შემთხვევაში ქალები უფრო მეტ ენერგიას ხარჯავენ, ამიტომ უფრო ხანგრძლივი დასვენება სჭირდებათ. მათი ძილის ხანგრძლივობა 50-60 წუთით მეტი უნდა იყოს მამაკაცისაზე.

თევზი გამჭვირვალე თავით...

გასაოცარმა თევზმა, გამჭვირვალე თავით, ინტერნეტ სივრცე დაიპყრო.

ეს უნიკალური არსება უცხოპლანეტელს და კომპიუტერული თამაშისთვის შექმნილ გმირს ჰგავს. თევზი წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში აღმოაჩინეს.

„Macropina microstoma“ ასე ეწოდება წყალქვეშა ბინადარს. მას გამჭვირვალე შუბლი აქვს, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია თევზის თავის შიდა ნაწილების დანახვა.

ასეთი შუბლის დახმარებით თევზს შეუძლია უკეთესად დაინახოს და მოინადიროს საკვები.

მისი ღია, მწვანე თვალები კი ჰორიზინტალურად და ვერტიკალურად ერთნაირად მოძრაობენ.

მეცნიერები გაკვირვებულები არიან ამ საოცარი არსების აღმოჩენით.

პარიზში ნუდისტებს პარკს მოუწყობენ...

სიყვარულის ქალაქში მალე სიშიშვლის მოყვარულებს პარკს მოუწყობენ. ქალაქის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა ნუდისტებისთის სპეციალური დასასვენებელი ადგილის გაშენებას.

პარკის მოწყობა, პარიზის განაპირას მდებარე ბულონიის ან ვენსენიის ტყეში იგეგმება. ვარაუდობენ, რომ დასასვენებელი ადგილი მომავალი ზაფხულისთვის გაიხსნება.

პარიზელების ნაწილი ნუდისტების მომხრეა. ქალაქში უკვე არსებობს საცურაო აუზი, რომელიც კვირაში სამჯერ სწორედ დედიშობილა საზოგადოებას მასპინძლობს.

ნუდისტებმა მთავრობას სთხოვეს, რომ მათთვის უფრო მეტი სივრცე მიეცათ. სავარაუდოდ, პარკს ტბის პირას მოაწყობენ. ქალაქის ისეთ რეგიონში, სადაც საზოგადოებრივ წესრიგს ვერ დაარღვევენ, რადგან ასეთ ადგილებში სიშიშვლე 15000 ევროთი ან ერთწლიანი პატიმრობით ისჯება.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები სადახლოსა და აეროპორტში

შემოსავლების სამსახურის ცნობით, 30 სექტემბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროს (219,75 გრ) ნაკეთობები აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 17,609.92 ლარი შეადგინა. საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ანალოგიური ფაქტი დაფიქსირდა 1 ოქტომბერს სგპ „თბილისის აეროპორტში“, სადაც არადეკლარირებული ოქროს (816,54 გრ) ნაკეთობები გამოავლინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 47,366.88 ლარი შეადგინა. საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

1 ოქტომბერს, არადეკლარირებული ძვირფასი ლითონის ნაკეთობების კიდევ ერთი ფაქტი გამოვლინდა საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“. მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროს (40,65 გრ) ნაკეთობები ბრილიანტის თვლებით აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 3,658.35 ლარი შეადგინა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, მოქალაქეს, სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 3,658.35 ლარის ოდენობით.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34;
599 797679

„საქართველოს
რესპუბლიკა“
შენი გაზეთია,
აუცილებლად
წაიკითხე!